

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების  
განმარტების პრაქტიკული სახელმძღვანელო

და

შედარებით-სამართლებრივი კვლევა  
იტალიისა და საფრანგეთის პრაქტიკის მიხედვით

2021 წელი



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
EU4Justice



პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია კვლევის ავტორი და იგი არ გამოხატავს ევროკავშირის შეხედულებებს.

ავტორები: ეკა ლომთათიძე, ევროკავშირის პროექტის „სასამართლო რეფორმების მხარდაჭერა საქართველოში“ ექსპერტი

მოსამართლე შარლოტე ჰაბლი, ვენის უმაღლესი საოლქო სასამართლოს პალატის პრეზიდენტი, ევროკავშირის პროექტის „სასამართლო რეფორმების მხარდაჭერა საქართველოში“ ექსპერტი

შესავალი.....	5
ნაწილი I.....	7
მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების განმარტების პრაქტიკული სახელმძღვანელო.....	7
მოსამართლე შარლოტე ჰაბლი .....	7
შესავალი.....	7
1. ზოგადი პრინციპები (მუხლი 75 <sup>1</sup> , პუნქტი 1-7).....	7
2. დისციპლინური გადაცდომების სახეები (მუხლი 75 <sup>1</sup> , პუნქტი 8).....	10
ა) ქმედება, რომელიც არღვევს დამოუკიდებლობის პრინციპს.....	10
ბ) ქმედება, რომელიც არღვევს მიუკერძოებლობის პრინციპს .....	12
გ) ქმედება, რომელიც არღვევს კეთილსინდისიერების პრინციპს .....	15
დ) ქმედება, რომელიც არღვევს წესიერების პრინციპს.....	16
„წესიერებაში“ იგულისხმება ადამიანის კარგი, სწორი და კორექტული ქცევა. წესიერი ქცევით ინდივიდი ავლენს ეთიკურ-მორალური მოქცევის მოლოდინს.....	16
ე) ქმედება, რომელიც თანასწორობის პრინციპს ეწინააღმდეგება.....	17
ვ) ქმედება, რომელიც არღვევს კომპეტენციისა და გულისხმიერების პრინციპს.....	18
ზ) „ზოგადი წესი“ .....	20
დასკვნა.....	20
ნაწილი II .....	22
შედარებით-სამართლებრივი ანალიზი მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებთან დაკავშირებით იტალიისა და საფრანგეთის პრაქტიკის მიხედვით .....	22
შესავალი.....	22
1. სახელმძღვანელო პრინციპები მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით .....	23
2. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა იტალიაში .....	27
ა. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა .....	27
ბ. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები .....	29
მიუკერძოებლობის ვალდებულება.....	30
წესიერების ვალდებულება.....	31
გულისხმიერების ვალდებულება.....	32
შრომისმოყვარეობის ვალდებულება.....	34
კონფიდენციალურობის ვალდებულების დარღვევა.....	34
მოვალეობის დარღვევის ზოგადი შემთხვევა.....	34
არასამსახურებრივი გადაცდომები.....	35
დანაშაულთან დაკავშირებული გადაცდომები .....	36
ზიანის საკითხი .....	37

<b>3. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა საფრანგეთში .....</b>	<b>39</b>
<b>ა. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა .....</b>	<b>39</b>
<b>ბ. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები .....</b>	<b>40</b>
გადაწყვეტილება S239, 16/12/2020 – თავშეკავების, ლოიალურობისა და დელიკატურობის ვალდებულებების დარღვევა.....	41
გადაწყვეტილება S237, 07/22/2020 – მიუკერძოებლობის და ლოიალურობის ვალდებულებების დარღვევა.....	44
გადაწყვეტილება S236, 07/09/2020 – ღირსების, პატივისა და სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებების დარღვევა.....	46
გადაწყვეტილება S206, 02/27/2013 – კანონის გულისხმიერად აღსრულების ვალდებულების, როგორც სახელმწიფოს წინაშე ვალდებულების დარღვევა.....	47
გადაწყვეტილება S238, 14/10/2020 – პროფესიული მონდომების, ეფექტიანობის, გულისხმიერების და კომპეტენციის, პროფესიული პასუხისმგებლობისა და პროფესიული სინდისიერების, ასევე მოსამართლის დამოუკიდებლობის დარღვევა.....	48
მთავარი მიგნებების შეჯამება.....	53
<b>4. საქართველოში მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები .....</b>	<b>55</b>
<b>დასკვნა.....</b>	<b>61</b>

## შესავალი

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის რეგულირება პირდაპირ არის დაკავშირებული, ერთი მხრივ, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, მეორე მხრივ კი, მათი ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფასთან. ამდენად, ამ საკითხის რეგულირება ყოველთვის განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს. საქართველოში მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომები ხელახლა განისაზღვრა მართლმსაჯულების რეფორმის მე-4 ტალღის ფარგლებში „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში შესული ცვლილებებით. შესაბამისად, დისციპლინური სამართალწარმოების ორგანოებს ჯერ ძალიან ცოტა დრო ჰქონდათ იმისთვის, რომ ცალკეული გადაცდომების შემადგენლობებთან დაკავშირებით მდგრადი პრაქტიკა ჩამოეყალიბებინათ.

აქედან გამომდინარე, მეტი განჭვრეტადობის უზრუნველსაყოფად ძალიან მნიშვნელოვანია იმ სახელმძღვანელო რესურსების შემუშავება, რომლებიც მოსამართლეებსაც და სამართალშემფარდებლებსაც (ინსპექტორის აპარატი, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია და პალატა) ნათელ წარმოდგენას შეუქმნის, რას გულისხმობს კონკრეტული გადაცდომები და რა ტიპის ქცევა არის აკრძალული.

ამ საჭიროების ევროკავშირის პროექტის „სასამართლო რეფორმების მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში მომზადდა წინამდებარე დოკუმენტი, რომელიც შედგება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტში ჩამოთვლილი გადაცდომების განმარტებისთვის პრაქტიკული სახელმძღვანელოსგან და იტალიისა და საფრანგეთის სადისციპლინო ორგანოების (მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოების) შესაბამისი პრაქტიკის კვლევისგან, საიდანაც საქართველოს კონტექსტში რელევანტური მიგნებები გამომდინარეობს.

შესაბამისად, ეს დოკუმენტი ორი ნაწილისგან შედგება. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების განმარტების პრაქტიკული სახელმძღვანელო მოამზადა ავსტრიის მოსამართლემ, შარლოტე ჰაბლმა. მასში განხილულია როგორც მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზოგადი პრინციპები, ისე კონკრეტული გადაცდომების შემადგენლობები შესაბამისი მაგალითებით.

შედარებით-სამართლებრივი კვლევის ნაწილი მოამზადა ეკა ლომთათიძემ. მასში განხილულია საერთაშორისო სტანდარტები მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებზე, ისევე როგორც იტალიისა და საფრანგეთის შესაბამისი კანონმდებლობა და პრაქტიკა. საკითხების ნაწილი, რაც მოსამართლე ჰაბლს აქვს წამოჭრილი საქართველოს კანონმდებლობის ანალიზისას, აქაც შეფასებულია შედარებით-სამართლებრივი მიგნებების გათვალისწინებით.

იმედს ვიტოვებთ, რომ აღნიშნული დოკუმენტი დაეხმარება ყველა დაინტერესებულ მხარეს მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფრთხილო და

სენსიტიურ სფეროში ინფორმირებული და დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

## ნაწილი I

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების განმარტების პრაქტიკული სახელმძღვანელო

მოსამართლე შარლოტე ჰაბლი

### შესავალი

ამ სახელმძღვანელოს საკანონმდებლო ჩარჩოს წარმოადგენს 2018 წლის 20 აპრილის „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს №2194 ორგანული კანონის თავი XIII<sup>1</sup> – „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სამართალწარმოება“.

2019 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა სასამართლოს რეფორმის მე-4 ტალღის ფარგლებში შეიტანა ცვლილებები „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში, მათ შორის, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის ნაწილში.

სახელმძღვანელოს საგანია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომის საფუძვლები, როგორც ისინი განისაზღვრა 2019 წლის 13 დეკემბრის საქართველოს №5569 ორგანული კანონით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“.

სახელმძღვანელო პირველ რიგში მიმოიხილავს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზოგად პრინციპებს და შემდეგ, გადაცდომის ცალკეულ სახეებსა და მისგან გამოწვეულ შედეგებს, რომელთა შეფასებისა და გადაწყვეტისთვის წარმოდგენილია მაგალითები პრაქტიკიდან.

სახელმძღვანელოს მიზანია, დახმარება გაუწიოს ყველა იმ პირს, ვინც მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხების შესწავლით არის დაკავებული. პრაქტიკული მითითებების საშუალებით, სახელმძღვანელო მათ დაეხმარება განმარტონ კანონმდებლის ნება იმის გადაწყვეტისას, მოსამართლის მიერ ჩადენილი ქმედება წარმოადგენს თუ არა დისციპლინურ გადაცდომას.

### 1. ზოგადი პრინციპები (მუხლი 75<sup>1</sup>, პუნქტი 1-7)

- “Nulla poena sine culpa” (არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე, მუხლი 75<sup>1</sup>, პუნქტი 2-5)  
სისხლის სამართლის მნიშვნელოვანი სამართლებრივი წესი ვრცელდება დისციპლინურ სამართალზეც. მოსამართლეს მხოლოდ ბრალეული

ქმედებისთვის შეიძლება დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა, კერძოდ:

გადაცდომის ჩადენის მომენტში შეეძლო გაეცნობიერებინა („ბრალის ბიოლოგიური ელემენტი“),

ის უნდა მოქმედებდეს განზრახ ან გაუფრთხილებლად, უნდა აცნობიერებდეს საფრთხეს ანდა შეეძლოს გაცნობიერება („ბრალის ფსიქოლოგიური ელემენტი“) და

შეიძლება ჩათვალოს, რომ მოსამართლე კანონიერად მოქმედებდა („ბრალის ნორმატიული ელემენტი“).

შეჯამების სახით: როდესაც მოსამართლის ქმედება შეიძლება მიჩნეულ იქნეს გადაცდომად, მხოლოდ მაშინ უნდა დაეკისროს მოქმედების ან უმოქმედობისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობა.

- “Nullum crimen, nulla poena sine lege” (არ არსებობს დანაშაული და არც სასჯელი კანონის გარეშე, მუხლი 75<sup>1</sup>, პუნქტი 1)

მოსამართლეს მხოლოდ იმ ქმედებისთვის შეიძლება დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა, რომელიც გათვალისწინებულია ამ კანონის, კერძოდ, 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტით.

ერთი შეხედვით, დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალი 75<sup>1</sup> მუხლში ამომწურავია. თუმცა „ა.ა“ ქვეპუნქტის მაგალითზე ცხადი ხდება, რომ მოსამართლეს 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტის „ა“-“ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ნებისმიერი პრინციპის დარღვევის შემთხვევაში, ან მოსამართლის სტატუსისთვის (მუხლი 75<sup>1</sup>, პუნქტი 8, ქვეპუნქტი „ზ“) შეუთავსებელი ქმედებისთვის, დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული დისციპლინური სამართალი, შესაბამისად, არ არის „ტიპური სისხლის სამართალი“, არამედ უფლებამოსილ ორგანოს ანიჭებს უფლებას, შეაფასოს, მოსამართლის ქმედება (მოქმედება და/ან უმოქმედობა) წარმოადგენს თუ არა ვალდებულების დარღვევას, რომელზეც გათვალისწინებულია დისციპლინური პასუხისმგებლობა.

- კანონის არასწორი განმარტება, რომელიც მოსამართლის შინაგან რწმენას ეფუძნება, არ წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას (მუხლი 75<sup>1</sup>, პუნქტი 6). მოსამართლის ეს მნიშვნელოვანი დაცვა არა მხოლოდ მაშინ უნდა მოქმედებდეს, როდესაც კანონის დანაწესი ბუნდოვანია ან განმარტების სხვადასხვა შესაძლებლობას იძლევა (დისკრეციის ფარგლები), არამედ ყოველთვის, როდესაც „საუკეთესო ცოდნითა და სინდისით“ მოქმედი მოსამართლე კანონის ნორმას მყარი რწმენით არასწორად განმარტავს.

თუ შინაგანი რწმენა, არასწორი განმარტება და, შესაბამისად, კანონის გამოყენება მოსამართლის არაკომპეტენტურობით არის გამოწვეული და მან არ გასწია ძალისხმევა საკმარისი ცოდნის მისაღებად (ახალ, შეცვლილ)



საკანონმდებლო სიახლეებზე, მაშინ მოსამართლე დაექვემდებარება დისციპლინურ პასუხისმგებლობას (მაგ. მუხლი 75<sup>1</sup>, პუნქტი 8, ქვეპუნქტი „ვ“).

- ნებისმიერი სახის ვალდებულების დარღვევა არ მიიჩნევა გადაცდომად (მუხლი 75<sup>1</sup>, პუნქტი 7)

ამ კანონის თანახმად, ვალდებულების დარღვევა, მისი მცირე მნიშვნელობის გამო, რომელიც არ იწვევს ზიანს ან არ წარმოშობს ზიანის დადგომის საფრთხეს, არ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად.

ეს ნიშნავს: მხოლოდ ფაქტორების კუმულატიური თანხვედრის შემთხვევაში, ქმედება არ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად, თუ:

გადაცდომა არის მცირე მნიშვნელობის

არ იწვევს ზიანს, ან მცირე მნიშვნელობის გადაცდომის გამო არ წარმოშობს ზიანის დადგომის საფრთხეს.

- დისციპლინური პასუხისმგებლობა, როდესაც მოსამართლის ქმედებას დისციპლინურთან ერთად სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა ენიჭება.

მუხლი 75<sup>31</sup> ითვალისწინებს დისციპლინური საქმისწარმოების დროებით შეჩერებას დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ხოლო მუხლი 75<sup>42</sup>, პუნქტი 1, ქვეპუნქტი “დ”) – საქმისწარმოების დასრულებას, თუ მოსამართლის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდება ბრალის ან ფაქტების დაუდასტურებლობის გამო.

საპირისპირო მაგალითში, კერძოდ, თუ მოსამართლეს მის მიერ ჩადენილი ქმედებისთვის დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, კანონი ბუნდოვანია დისციპლინური (დამატებითი) პასუხისმგებლობის მიმართ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ გამოირიცხება დამატებითი პასუხისმგებლობა “ne bis in idem” ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპის შესაბამისად, კერძოდ მაშინ, თუ მოვალეობის დარღვევისთვის მოსამართლეს დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (მაგ. მსუბუქი გაუფრთხილებლობით ჩადენილი ავტოსაგზაო შემთხვევის დროს სხეულის მსუბუქი დაზიანება).

იმ შემთხვევაში, თუ მოვალეობის დარღვევასთან ერთად სასამართლოს რეპუტაცია ან ნდობა შეილახება, მაშინ შესაძლებელია სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან ერთად „დისციპლინური პასუხისმგებლობის დამატება“ (ალკოჰოლური ან ნარკოტიკული საშუალების თრობის ქვეშ უხეში გაუფრთხილებლობით ჩადენილი ავტოსაგზაო შემთხვევის დროს სხეულის დაზიანება და პოლიციელებისთვის შეურაცხყოფის მიყენება/ადგილიდან მიმალვა, ა.შ.).

## 2. დისციპლინური გადაცდომების სახეები (მუხლი 75<sup>1</sup>, პუნქტი 8)

### ა) ქმედება, რომელიც არღვევს დამოუკიდებლობის პრინციპს

მოსამართლის დამოუკიდებლობა სამართლებრივი სახელმწიფოს მნიშვნელოვანი პრინციპია სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისთვის.

სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მოსამართლე ზრუნავს კანონითა და საქმის განაწილებით წესის შესაბამისად მის განხილვაში არსებულ საქმეებზე. მოსამართლის დამოუკიდებლობის დაცვის სფეროს მიეკუთვნება უშუალოდ სამართლის ადგენა, თუმცა, ასევე, ამასთან ირიბად დაკავშირებული გადაწყვეტილებები და საპროცესო მოქმედებები.

მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიაა:

#### 1) მისი შეუცვლელი და ხელშეუხებლობა

მოსამართლე მხოლოდ კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით (მაგ. კანონით განსაზღვრული საპენსიო ასაკის მიღწევა, დისციპლინური გადაცდომის გამოვლენა, სასამართლო სტრუქტურაში ცვლილება) შეიძლება იყოს გათავისუფლებული ან მივლინებული.

2) არავის აქვს უფლება, მოსამართლეს მისცეს მითითება ან განახორციელოს ზეწოლა მოსამართლის გადაწყვეტილებაზე ზოგადად, ან გავლენა მოახდინოს რაიმეს ან ვინმეს სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ გადაწყვეტილების გამოტანაზე.

მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპი დაკავშირებულია ასევე მოსამართლის ვალდებულებებთან და ეს არ არის გარანტია, იმოქმედოს თვითნებურად.

საქართველოს ორგანულ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“ მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპი და სასამართლოების საქმიანობაში ჩარევის აკრძალვა გარანტირებულია მე-8 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით.

კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი ნაწილით განმტკიცებული ზეგავლენის აკრძალვის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპით და საერთაშორისო სამართლის სტანდარტებით, ასევე სხვა კანონებით, შინაგანი რწმენით ფაქტების შეფასება და გადაწყვეტილების მიღება, მოსამართლის არა მხოლოდ უფლება, არამედ ვალდებულებაა. ეს დამოუკიდებლობა შეზღუდულია (შეზღუდილია) სწორედ ამ მოთხოვნებით.

„შინაგანი რწმენა“ დაფუძნებულია მოსამართლის გადაწყვეტილების მიღების, კერძოდ, „მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების“ პრინციპზე.

ამ შემთხვევაში სახეზეა კრიტიკულ-ფსიქოლოგიური პროცესი, რომლის დროსაც შეგროვებული მტკიცებულებების ერთობლიობის სუბსუმციით (შეფასებით) ლოგიკური დასკვნები მიიღება. ეს არის გაგების და არა გრძნობითი საქმიანობა.

მოსამართლემ უნდა დაასაბუთოს თავისი რწმენა, რომელშიც ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი დადგენილია, განმარტოს მტკიცებულებები, რომლებიც ამყარებს ან აქარწყლებს მათ და შესაბამისად განავითაროს აზროვნების და მსჯელობის კანონები.

მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევებია:

ა) როდესაც მოსამართლე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი და მეორე წინადადებით განსაზღვრულ წესებს უგულვებელყოფს თავისი სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას და პოლიტიკურ, სოციალურ ან სხვა პირადი ინტერესების გავლენას დაექვემდებარება.

ბ) როდესაც მოსამართლე, მე-8 მუხლის დანაწესის საწინააღმდეგოდ, სხვა მოსამართლის საქმიანობაში ჩაერევა, შედეგზე გავლენის მოხდენის მიზნით.

მაგალითები:

1. მოსამართლე გაბრაზებულია, რადგანაც მას – კანონის შესაბამისად მოსამართლის აცილების გამო – დაეწერა ფაქტობრივად და სამართლებრივად რთული საქმე. მოსამართლე ისედაც უჩიოდა თავისუფალი დროის სიმცირეს. აბსურდული საფუძვლების მითითებით მოსამართლე შეეცადა თავისი აცილების საფუძვლების არსებობის დადასტურებას და საქმის აცილებას, თუმცა უშედეგოდ. შემდეგ კი, სხვა სასამართლოსთვის საქმის გადაცემას ასევე დაუსაბუთებელი არგუმენტებით.

შეთავაზება: დაკვალიფიცირდეს როგორც დისციპლინური

2. მოსამართლე გაბრაზდა, რომ უნდა განეხილა სამოქალაქო საქმე, რომლის დავის საგნის ღირებულება საკმაოდ მცირე იყო. პირველი სხდომის დასაწყისში მოსამართლემ მხარეებს და მათ წარმომადგენლებს, თავისი დროის დაზოგვის მიზნით, მოუწოდა მორიგებისკენ შემდეგი სიტყვებით: „მე მოგცემთ ზუსტად 5 წუთს, რომ მორიგდეთ. თუ ამას არ იზამთ, მაშინ სხდომას ჩავნიშნავ 4 დღეზე და თითო 1/4 საათს დავუთმობ მოწმეთა დაკითხვას“. 5 წუთის გასვლის შემდეგ, მოსამართლემ გადადო სხდომა.

შეთავაზება: დაკვალიფიცირდეს როგორც დისციპლინური

3. „მორიგებისკენ მაიძულებელი“ მოსამართლე პროცესის მხარეს, რომელსაც წარმოადგენდა ექიმი, მკურნალობის დროს დაშვებული შეცდომის გამო, აიძულებდა ელიარებინა სასარჩელო ფულადი მოთხოვნა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიმართავდა ექიმთა პალატას და ასევე პროკურატურას, „ამით კი დასრულდება თქვენი, როგორც ექიმის კარიერა“.

შეთავაზება: დაკვალიფიცირდეს როგორც დისციპლინური

4. მოსამართლე შეიტყობს, რომ მის კოლეგასთან იხილება ნაცნობის სისხლის სამართლის საქმე. მოსამართლე ამ განმხილველ მოსამართლეს ბევრჯერ უხსენებს ამ

საქმეს და ცდილობს, ნაწილობრივი მცდარი მონაცემებით (მძიმე ბავშვობა, უსამართლოდ დაკარგა სამსახური...) გავლენა მოახდინოს საქმის ნაცნობის სასიკეთოდ გადაწყვეტაზე.

შეთავაზება: დაკვალიფიცირდეს როგორც დისციპლინური

### *ბ) ქმედება, რომელიც არღვევს მიუკერძოებლობის პრინციპს*

საქმის სამართლიანი განხილვის მნიშვნელოვანი გარანტი სასამართლოს მიუკერძოებლობაა (მუხლი 6, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია).

მოსამართლემ თავისი საქმიანობა უნდა განახორციელოს მიუკერძოებლად და თავიდან აირიდოს ნებისმიერი ეჭვი მიკერძოებულობაზე.

მოსამართლის მიკერძოება სახეზეა, თუ ის თავად ან მისი ახლო ნათესავი პროცესის მხარეა, მოწმე ან ექსპერტი, ასევე, სხვა საფუძვლების არსებობისას, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს მოსამართლის მიუკერძოებლობასა და ობიექტურობას.

„სხვა საფუძვლები“ შეიძლება იყოს, მაგალითად:

მეგობრობა/მტრობა/აკრძალული კონტაქტი, ახლო (კოლეგიალური) ურთიერთობა პროცესის მხარესთან;

წევრობა, ახლო ურთიერთობა პოლიტიკურ პარტიასთან/გაერთიანებასთან;

თუ მოსამართლე ან მისი ახლო ნათესავი პროცესიდან სარგებელს ან ზიანს ელოდებოდა.

მოსამართლე ვალდებულია, საქმეში თავისი აცილების საფუძველი განაცხადოს და ყოველმხრივ შეიკავოს თავი იმისგან, რამაც შესაძლოა ეჭვი გააჩინოს მის მიკერძოებაზე.

მუხლი 75<sup>1</sup>, პუნქტი 8, “ბ.დ”-“ბ.ვ” ქვეპუნქტებით მოცემულია ქმედებები, რომელიც არღვევს მიუკერძოებლობის პრინციპს.

ბ.დ) მოსამართლეს დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ ის, როგორც წინა მაგალითში იყო აღწერილი, არ განაცხადებს თავის აცილებაზე, ან აცილების წინაპირობების არსებობის მიუხედავად, უარს იტყვის აცილების შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

ბ.ე) დისციპლინური გადაცდომაა მოსამართლის პოლიტიკური პარტიის ან გაერთიანების წევრობა, ასევე რაიმე პოლიტიკურად მოტივირებული საქმიანობები.

ბ.ვ) სამართლიანი განხილვის ძირითად პრინციპს მიეკუთვნება ინდივიდუალურ მოსამართლეზე თუ კოლეგიაზე/პალატაზე საქმის განაწილება დადგენილი წესის შესაბამისად. საქმის განაწილების წესი თავიდანვე უნდა იყოს განსაზღვრული, რათა

არავის ჰქონდეს მასზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა. 58<sup>1</sup> მუხლის თანახმად, საქმე ნაწილდება ელექტრონული წესით, სისტემის შეფერხების შემთხვევაში კი, ანბანური თანმიმდევრობით.

თუ არაუფლებამოსილი მოსამართლე ზეგავლენას ახდენს განაწილების წესზე, ის სჩადის დისციპლინურ გადაცდომას და ამით არღვევს მიუკერძოებლობის პრინციპს, კერძოდ, საქმის კონკრეტული მოსამართლისთვის განაწილება გავლენას მოახდენს საქმის შედეგზე.

“ბ.ა”-“ბ.გ” ქვეპუნქტებით განსაზღვრული ქმედებები წარმოადგენს მოსამართლის მიერ სამსახურებრივი საიდუმლოების დაცვის ვალდებულების დარღვევას.

სამსახურებრივი საიდუმლოების დაცვის ვალდებულება ვრცელდება როგორც სამსახურებრივ, ასევე არასამსახურებრივ სიტუაციაზე.

მოსამართლეს არ შეუძლია, გამოხატოს თავისი შეხედულება მის მიერ განსახილველ საქმეზე.

ქართულ სამართალში, მოსამართლის სამსახურებრივი საიდუმლოების დაცვის ვალდებულებას ითვალისწინებს ეთიკის ნორმების მე-13 მუხლი. მის შესაბამისად, მოსამართლეს არ შეუძლია, პირადი ინტერესებისთვის ან სხვისი უფლებების დარღვევისთვის გამოიყენოს ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა მისი საქმიანობიდან. ინფორმაციის გავრცელება მოსამართლის პენსიაში ყოფნის დროსაც არ არის დაშვებული.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (მუხლი 497) და სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (მუხლი 28) ითვალისწინებს თათბირის საიდუმლოებას.

ბ.ა) როდესაც მოსამართლე საჯაროდ გამოხატავს აზრს მიმდინარე საქმეზე, მაგალითად, მედიის წინაშე ან ღონისძიების მიმდინარეობისას.

მოსამართლის მიერ საზოგადოების ინფორმირება პროცესთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ/ტექნიკური ხასიათის დეტალებზე, არ წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოში არ არის პრესსამსახური, რომელიც მედიის წარმომადგენლებთან ურთიერთობისთვის იქმნება, ინდივიდუალურმა მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს კეთილსინდისიერება, როდესაც მას ჰკითხავენ სასამართლოში მიმდინარე საქმეზე, არ გასცეს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია. ხშირად, საკონტაქტო პირებს აწვდიან ზოგად საპროცესო ნორმებზე მითითებულ ინფორმაციას.

ბ.ბ.) როდის და როგორ უნდა გამოქვეყნდეს გადაწყვეტილება, ამას განსაზღვრავს კანონის მე-13 მუხლი. თუ მოსამართლე კანონის ამ მოთხოვნას, მაგალითად, გადაწყვეტილების დროზე ადრე გამოქვეყნებით, არ დაიცავს, ეს წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.

ბ.გ) ამ შემთხვევაში მიეთითება მუხლი 72<sup>1</sup>, პირველ პუნქტსა და მუხლი 72<sup>2</sup>, პირველ პუნქტზე.

მუხლი 72<sup>1</sup>, პუნქტი 1 უკრძალავს პროცესის მხარეებსა და “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 1<sup>1</sup> მუხლის “ა”-“ვ” ქვეპუნქტებში განსაზღვრულ პირებს ნებისმიერი სახის კომუნიკაციას მოსამართლესთან კონკრეტულ საქმესა და მის შედეგზე, თუ ეს მოსამართლის დამოუკიდებლობის, სასამართლოს მიუკერძოებლობის პრინციპს და კანონის საპროცესო მოთხოვნებს ეწინააღმდეგება.

მუხლი 72<sup>2</sup>, პუნქტი 1 ავალდებულებს მოსამართლეს, ასეთი კომუნიკაციის ფაქტის არსებობის შემთხვევაში, წერილობით შეატყობინოს თავის ზემდგომ ორგანოს.

მუხლი 72<sup>2</sup>, პუნქტი 3 განსაზღვრავს მოსამართლის მიერ ზემოხსენებული წესების დარღვევის შემთხვევაში დისციპლინურ პასუხისმგებლობას, კერძოდ, მოსამართლეს მაშინ შეიძლება დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ ის ჩაერთვება ასეთ კომუნიკაციაში.

მაგალითები:

1. ერთ-ერთ ღონისძიებაზე მოსამართლე ამბობს მიმდინარე სამოქალაქო საქმეზე: „ამ საქმეში მოსარჩელე ვერ მოიგებს“!

შეთავაზება: დაკვალიფიცირდეს როგორც დისციპლინური

2. მოსამართლემ ან მისმა ახლო ნათესავმა სადაზღვევო კომპანიის წინააღმდეგ ხანგრძლივად მიმდინარე ხარჯიანი დავა წააგო. მოგვიანებით მას დაეწერა საქმე, სადაც ეს სადაზღვევო კომპანია მხარეა. ამის მიუხედავად, მოსამართლე არ აყენებს თვითაცილებას.

შეთავაზება: დაკვალიფიცირდეს როგორც დისციპლინური

3. მოსამართლე გახდება პოლიტიკური პარტიის წევრი, დაწერს სტატიას პარტიის ვებგვერდზე და მონაწილეობს მათ საჯარო გამოსვლებში. შეთავაზება: დაკვალიფიცირდეს როგორც დისციპლინური

4. მოსამართლე მედიის წარმომადგენელს აცნობებს მთავარი სხდომის თარიღს, ადგილსა, სავარაუდო ხანგრძლივობას და დავის პროცესუალური დასრულების სავარაუდო შესაძლებლობებს.

შეთავაზება: დაკვალიფიცირდეს როგორც არადისციპლინური

*გ) ქმედება, რომელიც არღვევს კეთილსინდისიერების პრინციპს*

აღნიშნული ცნება სათავეს იღებს ლათინურიდან “integritas”, რაც გულისხმობს „პატიოსნებას და მედეგობას“, ეს პრინციპი განსაზღვრავს ვალდებულებას, იმოქმედო მორალურად.

აღნიშნულთან დაკავშირებით ასევე შეიძლება მიეთითოს მოსამართლის შერჩევის კრიტერიუმებზე (ორგანული კანონის მუხლი 351, კერძოდ, მე-3 აბზაცი).

გ.ა) „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ჩამოთვლილი კორუფციული სამართალდარღვევები წარმოადგენს მოსამართლის მიერ კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევებს და, შესაბამისად, დისციპლინურ გადაცდომებს.

პირველ რიგში, თუ მოსამართლე ამ მისი ახლო ნათესავი აიღებს ძვირფას საჩუქარს (მუხლი 5-52), სარგებლობს სამსახურებრივი მდგომარეობით ან არღვევს სამსახურებრივი საიდუმლოების დაცვის ვალდებულებას (მუხლები 7 და 8), დებს გარიგებებს უძრავ ქონებაზე ან იმ უწყებებთან, რომელთანაც მას პროფესიული კავშირი აქვს (მუხლები 10 და 11) და არღვევს თანამდებობრივი შეუთავსებლობის წესს (მუხლი 13 და შემდგომი მუხლები) ან მოქმედებს 20<sup>4</sup> მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში მამხილებლის წინააღმდეგ.

გ.ბ) კეთილსინდისიერი მოსამართლის სამუშაო პროფილი გულისხმობს ასევე, რომ მან ხელი არ უნდა შეუშალოს მის წინააღმდეგ მიმდინარე დისციპლინური საქმის წარმოებას.

მაგალითები:

1. უზენაესი სასამართლოს მოსამართლე მომხსენებელი მოსამართლის მიერ კომპიუტერში დამახსოვრებული გადაწყვეტილების პროექტს მოიპოვებს უნებართვოდ და თანხის სანაცვლოდ გადასცემს ერთ-ერთი მხარის ადვოკატს. შეთავაზება: დაკვალიფიცირდეს როგორც დისციპლინური

2. მოსამართლე იცნობს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, მისთვის ამზადებს სამოქალაქო და სისხლის სამართალწარმოებისთვის სხვადასხვა წერილობით დოკუმენტს სასამართლოში წარსადგენად, სადაც ის თავად მუშაობს. სანაცვლოდ, მოსამართლეს ეპატიჟებიან საფეხბურთო თამაშებზე, ასევე, უფინანსებენ საზღვარგარეთ მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯებს.

შეთავაზება: დაკვალიფიცირდეს როგორც დისციპლინური

3. მოსამართლე საშობაოდ მიიღებს ბილეთს ზედ დამაგრებული კანფეტით იმ ექსპერტისგან, რომელსაც იგი ხშირად იწვევს სხვადასხვა საქმეზე. შეთავაზება: დაკვალიფიცირდეს როგორც არადისციპლინური

4. ადგილის დათვალიერების შემდეგ მოსამართლე მონაწილეებთან ერთად სადილობს. ერთ-ერთი ადვოკატი დაპატიჟებს სასმელზე იმ პირობით, რომ შემდეგ ჯერზე მოსამართლე თავად გადაიხდის.

შეთავაზება: დაკვალიფიცირდეს როგორც არადისციპლინური

*დ) ქმედება, რომელიც არღვევს წესიერების პრინციპს*

„წესიერებაში“ იგულისხმება ადამიანის კარგი, სწორი და კორექტული ქცევა. წესიერი ქცევით ინდივიდი ავლენს ეთიკურ-მორალური მოქცევის მოლოდინს.

ცნებები „კეთილსინდისიერება“ და „წესიერება“ აღწერს მსგავს დამახასიათებელ თვისებებს, რომელიც უნდა ჰქონდეს მოსამართლეს და ამის გათვალისწინებით მოქმედებდეს.

შესაძლოა არსებობდეს ერთი განსხვავება, რომ „კეთილსინდისიერება“ გულისხმობს მოსამართლის საქმიანობას კორექტულად და უნაკლოდ, ხოლო „პატიოსნება“ ეს არის პატივისცემა სხვების მიმართ.

საქართველოში მოხელეთა ეთიკის წესები მოწესრიგებულია ცალკე დებულებით.

დ.ა) პუნქტში აღწერილი ქმედება შესაძლოა წარმოადგენდეს მიუკერძოებლობის პრინციპის დარღვევას (პუნქტი 8, ქვეპუნქტი “ზ”).

თუ მოსამართლე პროცესის მხარესთან ახლო ურთიერთობას ამყარებს, რომელიც შემდეგ საქმეზე უსამართლო გადაწყვეტილების მიღებას გამოიწვევს.

დ.ბ) მოსამართლის მიერ სხვა პირის სექსუალური შევიწროება, აქ იგულისხმება „სამსახურში“ (ამასთან, იხილე „ზოგადი დათქმა“, პუნქტი 8, ქვეპუნქტი “ზ”), წესიერების პრინციპის თანახმად, რა თქმა უნდა, წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.

„სექსუალური შევიწროების“ ცნების ქვეშ იგულისხმება მოსამართლის ნებისმიერი სექსუალური მოტივით ქცევა (სხეულზე შეხება, ორაზროვანი შენიშვნები...), რომლის გამოც სხვა პირი თავს შევიწროებულად გრძნობს.

დ.გ) ზემოთ აღწერილი შემთხვევები შეიძლება ასევე წარმოადგენდეს კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევას.

კოლეგის მიერ გადაწყვეტილება ცნობილი ხდება საერთო სახით და არა ხმების მიხედვით. აღნიშნული წესის დარღვევა წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.

მაგალითები:

1. ასაკოვანი მოსამართლე სამსახურში ყოფნის დროს ახალგაზრდა კოლეგას თითქოს უნებლიეთ ეხება ხელზე ან საჯდომზე.

შეთავაზება: დაკვალიფიცირდეს როგორც დისციპლინური



2. მოსამართლე ეუბნება კოლეგას: „მე თქვენ მახნვეთ თქვენ ტორსით“ ან „იცით, რომ ჰოროსკოპით მე ვარ ... რომლებიც გამოირჩევიან პოტენციალით“, ან „მე სრულად ჰეტერო ვარ, გინდათ, შეამოწმოთ?“

შეთავაზება: დაკვალიფიცირდეს როგორც დისციპლინური

3. მამაკაცი მოსამართლე ქალ კოლეგებთან ფემინისტებზე დისკუსიისას ამბობს: „თქვენ რთულები ხართ, ან ნიმფომანიაკები ხართ, ან ფრიგიდულები“.

შეთავაზება: დაკვალიფიცირდეს როგორც არადისციპლინური

### *ე) ქმედება, რომელიც თანასწორობის პრინციპს ეწინააღმდეგება*

1948 წლის 19 დეკემბრის გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის მუხლი 1 განსაზღვრავს, რომ ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. ხოლო მუხლი 2 შეიცავს დისკრიმინაციის აკრძალვას.

დისკრიმინაცია არის ცალკეული პირის თუ ჯგუფის მიმართ უსამართლობის ნებისმიერი ფორმა ან არათანაბარი მოპყრობა სხვადასხვა აღქმადი ნიშნით, ასაკით, ეთნიკური კუთვნილებით ან ფიზიკური შეზღუდვით, ასევე არაუმუშალოდ აღქმადი ნიშნებით, როგორც არის მსოფლმხედველობა, რელიგია ან სექსუალური ორიენტაცია.

ე.ა) თანასწორობის პრინციპის დაცვა მოსამართლის მიერ გულისხმობს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრას ყველა პირის მიმართ.

ე.ბ) ამასთანავე, მოსამართლეს, მისი განსაკუთრებული სტატუსის შესაბამისად, უფრო მაღალი ეთიკურობა და მორალური ვალდებულება ჰმართებს, სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას, აღკვეთოს და აკრძალოს სასამართლოს მოხელის ან პროცესის მხარის ნებისმიერი დისკრიმინაციული ქცევა სხვა პირის მიმართ.

კანონის თანახმად, მოსამართლის უმოქმედობა ასეთი ფაქტის შემთხვევაში წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.

მაგალითები:

1. კოლეგიის თავმჯდომარე ამბობს თავისი ქალი კოლეგის წინაშე, რომელსაც კოლეგიაში არსებულ ვაკანტურ სამტატო პოზიციაზე სურს კონკურსში მონაწილეობის მიღება: „ქალი არ მინდა მე კოლეგიაში, მე მჭირდება ადამიანი, რომელსაც შეუძლია ლოგიკურად ფიქრი“.

შეთავაზება: დაკვალიფიცირდეს როგორც დისციპლინური

2. სასამართლოს თავმჯდომარე მისალმების დროს, სასამართლოში მოსამართლის კანდიდატს მიმართავს: „რატომ გსურთ მოსამართლეობა?“. პასუხის მიღებამდე კი, ამატებს: „რადგანაც პროსტიტუცია და მოსამართლეობა ძალიან კარგი

ნახევარდღიანი სამუშაოა“. შეთავაზება: დაკვალიფიცირდეს როგორც დისციპლინური.

3. მოსამართლე საჯარო სხდომაზე ნარკოტიკებით ვაჭრობაში ბრალდებულს მიმართავს: „აფრიკელები უმჯობესია დარჩნენ ხეზე და ჭამონ ბანანები, ვიდრე ჩვენთან ჩამოვიდნენ“.

შეთავაზება: დაკვალიფიცირდეს როგორც დისციპლინური

4. მოსამართლე სხდომაზე, ტანმორჩილ სასამართლო მოხელეზე ამბობს: „მას ფანჯრის გაღებაც კი არ შეუძლია, ამისათვის სკამზე უნდა დადგეს, ჩემი 10 წლის ვაჟიც კი მასზე უფრო მაღალია“.

შეთავაზება: დაკვალიფიცირდეს როგორც დისციპლინური

### *ვ) ქმედება, რომელიც არღვევს კომპეტენციისა და გულისხმიერების პრინციპს*

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული მოსამართლის დამოუკიდებლობა, მეორე მხრივ, გულისხმობს მოსამართლის ვალდებულებას, სამოსამართლო საქმიანობის განსახორციელებლად ჰქონდეს სათანადო ცოდნა, განსაკუთრებით, კონსტიტუციის და ეროვნული კანონების. ხოლო საჭიროებისამებრ იზრუნოს ცოდნის ამაღლებაზე ტრენინგების მეშვეობით.

მოსამართლე არა მხოლოდ ვალდებულია, იყოს სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის ერთგული, არამედ იმაზეც, რომ იზრუნოს ვალდებულების სწორად შესრულებაზე. რაც გულისხმობს მისი პროფესიული ვალდებულებების კეთილსინდისიერად და შეძლებისდაგვარად სწრაფად განხორციელებას.

ვ.ა) კანონი ითვალისწინებს მოსამართლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას, თუ ის კანონით გათვალისწინებულ საპროცესო ვადებს არასაპატიოდ – ანუ ობიექტური გარემოებების არარსებობის შემთხვევაში, როგორცაა საქმის სიდიდე და მოცულობა – დაარღვევს.

„საქმის გაჭიანურება“ დისციპლინური გადაცდომის არსებითი ნაწილია. საქმის გაჭიანურება გამოიწვევს თუ არა დისციპლინურ პასუხისმგებლობას, დამოკიდებულია მრავალ გარემოებაზე, როგორცაა: სახეობა და ხანგრძლივობა, განმეორება და ა.შ. ასევე, ისეთი გარემოებების გათვალისწინება, როგორცაა სამსახურებრივი ან პირადი დატვირთვა.

ვ.დ) თუ მოსამართლე, რომელსაც ასევე აკისრია ადმინისტრაციული ფუნქციები, მაგალითად, სასამართლოს თავმჯდომარეობა ან კოლეგიის თავმჯდომარეობა, და მასთან დაკავშირებულ ამოცანებს ვერ ან არ ასრულებს, ეს გამოიწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

ვ.ბ) მოსამართლის „უპატივცემულო ქცევა“ წარმოადგენს უფრო მეტად თავაზიანობის პრინციპის დარღვევას (პუნქტი 8, ქვეპუნქტი „დ“), ვიდრე „ვ“ ქვეპუნქტის ქვეშ ჩამოთვლილი პრინციპებისა.

ვ.გ) ითვალისწინებს დისციპლინურ გადაცდომას, თუ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიერ კანონის დარღვევისა და ამ პუნქტით გათვალისწინებული შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტს მოსამართლე რეაგირების გარეშე დატოვებს, თუ მოსამართლე ამ ფაქტის თვითმხილველია;

მოსამართლის ასეთი ვალდებულება განსაზღვრულია ასევე „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის 13<sup>5</sup> მუხლის მე-4 პუნქტით.

მაგალითები:

1. მოსამართლე პენსიაში გასვლამდე წელიწადის ან წელიწად-ნახევარის განმავლობაში არ ასრულებს თავის მოვალეობას.

შეთავაზება: დაკვალიფიცირდეს როგორც დისციპლინური

2. მოსამართლის მიერ საქმეების ან გადაწყვეტილებების შედგენის უსაფუძვლოდ გაჭიანურება, რადგანაც ის ნაკლებ დროს უთმობდა აღნიშნულ საქმიანობას.

შეთავაზება: დაკვალიფიცირდეს როგორც დისციპლინური

3. მოსამართლე შეზღუდულია თავისი საქმიანობის განხორციელებაში, რაც იწვევს თვეობით საქმეების გაჭიანურებას. ის ასევე უარს ამბობს სამსახურის ხელმძღვანელის მიერ შეთავაზებულ კურსებში მონაწილეობის მიღებაზე, როგორც არის სამუშაოს ორგანიზება, მენეჯმენტის კურსები და სხვა.

შეთავაზება: დაკვალიფიცირდეს როგორც დისციპლინური

4. საქმეების გაჭიანურება მონდომებული და კეთილსინდისიერი მოსამართლის მიერ განსაკუთრებული გარემოებების გამო, როგორცაა: დიდი პროცესების წარმართვა, მისი ან მისი ახლო ნათესავის ავადმყოფობით გამოწვეული ზრუნვა და ა.შ.

შეთავაზება: დაკვალიფიცირდეს როგორც არა დისციპლინური

5. მოსამართლე ერთკვირიან შვებულებაში წასვლამდე, თავის შემცვლელ მოსამართლეს მაგიდაზე დაუტოვებს თხოვნას პატიმრობის შესახებ სასწრაფო შუამდგომლობას განხილვისთაობაზე. აღნიშნული საქმე ვერ შესრულდა, რადგანაც შემცვლელი მოსამართლე ავადმყოფობის გამო არ გამოცხადდა სასამართლოში.

შეთავაზება: დაკვალიფიცირდეს როგორც არადისციპლინური

## ზ) „ზოგადი წესი“

აქ იგულისხმება მოსამართლის ყველა სხვა ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს (მოსამართლის მაღალი სტატუსისათვის შეუფერებელი ქმედება (ქცევა), ჩადენილი სასამართლოში ან მის გარეთ, რომელიც აშკარად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს და ამით ლახავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას).

მოსამართლის ვალდებულება, სასამართლოს გარეთ თავი შეიკავოს ბრალეული თუ გაუმართლებელი ქმედებისგან (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც შესაძლოა მე-8 პუნქტის „ა“-“ვ“ ქვეპუნქტებით ვერ დაკვალიფიცირდეს, მაგრამ

- 1) ეწინააღმდეგებოდეს საქართველოში მოქმედ სამართლებრივ წესრიგს ან
- 2) ეწინააღმდეგებოდეს საჯარო წესრიგს, ან მოსამართლის მიმართ საზოგადოებაში საყოველთაოდ აღიარებულ ღირებულებებს.

საკმარისია ნდობის დაკარგვის საფრთხის არსებობა, აღნიშნულის დადასტურება არ არის აუცილებელი.

სასამართლოს გარეთ ქმედებები ურთიერთკავშირშია სხვა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზებასთან, რომელიც აქვს ნებისმიერ ადამიანს, მათ შორის, მოსამართლეს. მოსამართლეს არ შეუძლია იმ მასშტაბით უფლების გამოყენება, თუ ამით შეილახება საჯარო წესრიგი ან მოქალაქეების ნდობა კონსტიტუციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოსადმი მიმართვის თვალსაზრისით.

## დასკვნა

მოსამართლის თანამდებობა. როგორც ამას ითვალისწინებს მოსამართლის კანდიდატის შერჩევის კრიტერიუმები, მოითხოვს „კომპეტენციის“ და „ზნეობის“ გამორჩეულ და კომპლექსურ უნარებსა და თვისებებს, მათ შორის, ასევე, სამაგალითო ქცევას.

სოციალურ და პროფესიულ კომპეტენციებთან ერთად, მოსამართლემ პირველ რიგში უნდა იცოდეს საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ნორმები, უნდა შეეძლოს მისი კანონშესაბამისი გამოყენება და მუდმივად იზრუნოს პროფესიულ წვრთნაზე, ავლენდეს ეთიკურ-მორალურ და სოციალურ თვისებებსა და უნარებს და მოსამართლის საქმიანობის განხორციელებისას, ისევე როგორც პირად ცხოვრებაში, ადასტურებდეს მას.

თუ მოსამართლე, როგორც მართლმსაჯულების ორგანოს წარმომადგენელი, ბრალეულად არღვევს თავის სამსახურებრივ თუ საზოგადოებრივ მოვალეობებს, მუხლი 75<sup>1</sup>, პუნქტი 8-ის თანახმად, მას, როგორც წესი, დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა. თუმცა, გარკვეულ შემთხვევაში შესაძლოა ქმედება ნაწილობრივ

დაკვალიფიცირდეს სხვადასხვა კატეგორიის გადაცდომით (მაგ. მიუკერძოებლობის ან კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა).

მოსამართლის მიერ მოვალეობის ნებისმიერი დარღვევა არ იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას. გამონაკლისებს ითვალისწინებს მუხლი 75<sup>1</sup>, პუნქტი 6.

ამას გარდა, მართალია, მოსამართლეს შეიძლება წაეყენოს მაღალი მოთხოვნები, თუმცა სასამართლოს გარეთ ქცევის შეფასებისას, უნდა იყოს დაცული გონივრულობის ფარგლები.

იმედს ვიტოვებ, ამ სახელმძღვანელოთი წვლილს შევიტან დისციპლინური გადაცდომის საფუძვლების განმარტებაში, რომელიც ემყარება ორგანული კანონის დებულებებს და გაჯერებულია პრაქტიკიდან მოყვანილი მაგალითებით.

## ნაწილი II

### შედარებით-სამართლებრივი ანალიზი მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებთან დაკავშირებით იტალიისა და საფრანგეთის პრაქტიკის მიხედვით

ეკა ლომთათიძე  
შესავალი

როგორც დოკუმენტის პირველ ნაწილში აღინიშნა, საქართველოში მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომები ხელახლა განისაზღვრა მართლმსაჯულების რეფორმის მე-4 ტალღის ფარგლებში „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში შესული ცვლილებებით. შესაბამისად, დისციპლინური სამართალწარმოების ორგანოებს ჯერ ძალიან ცოტა დრო ჰქონდათ იმისთვის, რომ ცალკეული გადაცდომების შემადგენლობებთან დაკავშირებით მდგრადი პრაქტიკა ჩამოეყალიბებინათ.

ეს, ერთი მხრივ, აჩენს იმის საჭიროებას, რომ პრაქტიკის განვითარებას შეეწყოს ხელი, რათა სამართალშემფარდებლებისთვის, ისევე როგორც დისციპლინური სამართალწარმოების სუბიექტებისთვის უფრო ნათელი იყოს, რა ქცევა არის აკრძალული და დასჯადი. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია ამ მომენტის გამოყენება და ძალისხმევის მიმართვა გადაცდომების შინაარსის მაქსიმალურად სწორად, ნათლად და განჭვრეტადად განსაზღვრისთვის.

ამ მხრივ, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებთან დაკავშირებული პრაქტიკის შედარებით-სამართლებრივი კვლევა მნიშვნელოვანი რესურსია რიგ პრობლემურ საკითხებზე უფრო ინფორმირებული გადაწყვეტების ჩამოსაყალიბებლად. სწორად ამ მიზნით ქვემოთ განხილულია საფრანგეთისა და იტალიის კანონმდებლობა და პრაქტიკა მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებთან დაკავშირებით. აღნიშნული ინფორმაცია ერთგვარად ავსებს პირველ ნაწილში მოსამართლე შარლოტე ჰაბლის მიერ მომზადებულ განმარტებებსა და პრაქტიკულ მითითებებს კონკრეტულ გადაცდომებთან დაკავშირებით.

დოკუმენტის ამ ნაწილში, იტალიისა და საფრანგეთის პრაქტიკის განხილვამდე, მოყვანილია საერთაშორისო სტანდარტები და კარგი პრაქტიკის დოკუმენტები მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებთან დაკავშირებით. ეს ხელს უწყობს იმის აღქმას, რა შეიძლება ვისწავლოთ სხვა სამართლებრივი სისტემებიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის სფეროში, რამდენად დიდი განსხვავებებია სისტემებს შორის და რამდენად შეიძლება ერთიან სიაზე შევთანხმდეთ, თუნდაც რეგიონულ დონეზე.

დოკუმენტის ამ ნაწილში, პირველი თავი წარმოგვიდგენს მოსამართლეთა დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებით საერთაშორისო და რეგიონულ დონეზე დამკვიდრებულ მიდგომებს და სტანდარტებს. მეორე ნაწილში მოცემულია იტალიის, ხოლო მესამე ნაწილში – საფრანგეთის რელევანტური კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიმოხილვა. ბოლო, შეჯამებით ნაწილში წინა თავების მიგნებები გამოყენებულია საქართველოში დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში რამდენიმე აქტუალურ საკითხზე მსჯელობისათვის.

საფრანგეთისა და იტალიის გამოცდილების გათვალისწინება ხელს შეუწყობს დისციპლინური გადაცდომის სახეებთან დაკავშირებით საკითხების და პრობლემების უფრო ინფორმირებულ გააზრებას და მიდგომების ჩამოყალიბებას. ეს კი, თავის მხრივ, დისციპლინური სამართალწარმოების სუბიექტებს დაეხმარება კანონის შესრულებასა და მისი მიზნების უკეთ მიღწევაში.

## 1. სახელმძღვანელო პრინციპები მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის ინსტიტუტი ეფუძნება ბალანსს მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების ფუნდამენტურ პრინციპებს შორის. ამ ბალანსის მიღწევის ხელშეწყობისთვის განვითარებული სახელმძღვანელო პრინციპები შეჯამებულია მართლმსაჯულების საბჭოების ევროპული ქსელის ანგარიშში<sup>1</sup> დისციპლინურ სამართალწარმოებასა და მოსამართლეთა პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით:

- მოსამართლეებს არ უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა **სამართლის განმარტების, ფაქტებისა და მტკიცებულებათა შეფასებისთვის** კონკრეტული საქმის გადაწყვეტისას, თუმცა შეიძლება გარკვეული პასუხისმგებლობა წარმოიშვას გამიზნული ქმედების ან უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში.
- მოსამართლეები უნდა ხელმძღვანელობდნენ ეთიკური ქცევის პრინციპებით და დისციპლინური პასუხისმგებლობა უნდა ეფუძნებოდეს ეთიკური ქცევის მინიმალურ სტანდარტებს.
- როდესაც მოსამართლე არ ახორციელებს თავის სამოსამართლო უფლებამოსილებას, მას ეკისრება პასუხისმგებლობა, როგორც ნებისმიერ სხვა პირს.
- მოსამართლეები უნდა ხელმძღვანელობდნენ პროფესიული ქცევის ეთიკური პრინციპებით, მათ შორის იმ მოვალეობებით, რომელთა დარღვევაც ისჯება დისციპლინური ზომების გამოყენებით. დისციპლინური წარმოება უნდა ეფუძნებოდეს მოსამართლეთა ქცევის აღიარებულ სტანდარტებს.

---

<sup>1</sup> European Network of Councils for the Judiciary (ENCJ), Report – Development of Minimum Judicial Standards V (Disciplinary Proceedings and Liability of Judges), Hague, June, 2015, ხელმისაწვდომია: <https://www.encj.eu/node/257>

- ქცევა, რომელიც იწვევს დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებას, რასაც შეუძლია გამოიწვიოს სტატუსის შეცვლა ან თანამდებობიდან გათავისუფლება, ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული. ეს უნდა მოხდეს ეროვნულ და არა ევროპულ დონეზე<sup>2</sup>.

იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა რეალობაში მათი დაშინების მექანიზმად არ იქცეს, ერთ-ერთი გარანტია დისციპლინური პასუხისმგებლობის გამომწვევი ქცევების ნათლად და დეტალურად რეგლამენტირების მოთხოვნაა, რაც მთელ რიგ საერთაშორისო აქტებსა და ანგარიშებში მეორდება<sup>3</sup>. თუმცა, დეტალურობის მოთხოვნას თან ახლავს იმის აღიარებაც, რომ მოსამართლის სტატუსისთვის შეუფერებელი ქცევის ამომწურავი განსაზღვრება შეუძლებელია და დისციპლინური წარმოების საფუძვლების ჩამონათვალი თითქმის ყოველთვის ღიაა – კონკრეტულ ქცევებთან ერთად მოიცავს უფრო ზოგად სტანდარტს, რომელიც განმარტებას მოითხოვს და სამართლისშემფარდებელს ამ მხრივ გარკვეული შეფასების თავისუფლებას უტოვებს<sup>4</sup>.

როგორც ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) №3 დასკვნაშია აღნიშნული, ქვეყნების მცდელობების მიუხედავად, მაქსიმალურად დეტალურად გაწერონ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამომწვევი ქცევები და მათთან დაკავშირებული სანქციები, „ყველა ამგვარი მცდელობისას ძალიან თვალშისაცემია, რომ საბოლოოდ, ისინი ყველანი მიმართავენ ზოგად, „ყოვლისმომცველ“ (catch-all) ფორმულირებას, რომელიც დღის წესრიგში შეფასების თავისუფლების და მისი ხარისხის საკითხს აყენებს. თავად CCJE არ მიიჩნევს აუცილებლად (nulla poena sine lege პრინციპის ან სხვა რაიმე საფუძვლით) ან თუნდაც შესაძლებლად, რომ ევროპულ დონეზე ზუსტად და დეტალურად განისაზღვროს ყველა იმ გადაცდომის ბუნება, რომელიც საფუძვლად შეიძლება დაედოს დისციპლინურ წარმოებას და სანქციებს. დისციპლინური სამართალწარმოების არსი მდგომარეობს იმ ქცევაში, რომელიც ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება კონკრეტული პროფესიონალისგან მოსალოდნელ

<sup>2</sup> European Network of Councils for the Judiciary (ENCJ), Report – Development of Minimum Judicial Standards V (Disciplinary Proceedings and Liability of Judges), Hague, June, 2015, 22, ხელმისაწვდომია: <https://www.encj.eu/node/257>

<sup>3</sup> იხ. მაგ. European Charter on the Statute for Judges, 1998; Recommendation CM/Rec(2010)12 of the Committee of Ministers to member states on judges: independence, efficiency and responsibilities, 17 November 2010; Opinion no. 3 for the attention of the Committee of Ministers of the Council of Europe on the principles and rules governing judges' professional conduct, in particular ethics, incompatible behavior and impartiality; 19 November 2002; The Magna Carta (fundamental Principles) of judges, 17 November 2010, UN Human Rights Council, Report of the Special Rapporteur on the independence of judges and lawyers, Leandro Despouy, A/HRC/11/41 24 March 2009.

<sup>4</sup> OSCE/ODIHR, NOTE ON INTERNATIONAL STANDARDS AND GOOD PRACTICES OF DISCIPLINARY PROCEEDINGS AGAINST JUDGES, 27 December 2018, გვ. 15-16.



ქცევას<sup>5</sup>. კიევის რეკომენდაციებიც ზოგად სტანდარტს ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების საფუძველი უნდა იყოს პროფესიული გადაცდომა, რომელიც არის „უხეში, უპატივბედი და ასევე სასამართლო ხელისუფლებას უღახავს რეპუტაციას“<sup>6</sup>. იმის გათვალისწინებით, რომ მაქსიმალური დეტალურობისკენ მისწრაფების მიუხედავად, გარკვეული ბუნდოვანება დისციპლინურ გადაცდომებში გარდაუვალია, ეუთოს ანგარიშში შემოთავაზებულია ორი დამატებითი მექანიზმი თვითნებობის ასარიდებლად: „თვითნებობისა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების რისკი შეიძლება შემცირდეს, პირველ რიგში, პროფილაქტიკური ღონისძიებების მიღებით, როგორცაა დისციპლინური გადაცდომების შესახებ დებულებებზე განმარტებითი მემორანდუმის მომზადება, მეორე მხრივ კი, სასამართლო ორგანოების ან კონკრეტული თანამშრომლების გამოყოფა, რომელთაც მოსამართლე დაუკავშირდება რჩევისთვის იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მისაღებია კონკრეტული ქცევა“<sup>7</sup>. დისციპლინური გადაცდომების შინაარსთან დაკავშირებით ამგვარი განმარტების მექანიზმები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში, რადგან 2019 წლის ბოლოს დისციპლინური გადაცდომების შემადგენლობები თავიდან განისაზღვრა და, შესაბამისად, არ არსებობს რაიმე მდგრადი პრაქტიკა, რომელიც მოსამართლეებს აკრძალული ქცევების შინაარსის განსაზღვრის შესაძლებლობას მისცემდა.

მართლმსაჯულების რეფორმის მე-4 ტალღის ფარგლებში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით<sup>8</sup>, მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომები დაიყო „სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპებით“ განსაზღვრული პრინციპების მიხედვით: დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, კეთილსინდისიერება, წესიერება, თანასწორობა, კომპეტენცია და გულისხმიერება და თითოეულთან მიმართებით დაკონკრეტდა, რა ჩაითვლებოდა ამ პრინციპის დამრღვევ გადაცდომად.

როგორც განმარტებით ბარათშია აღნიშნული, ამ რეფორმის შედეგად უფრო განჭვრეტადი გახდა დისციპლინური გადაცდომის სახეები<sup>9</sup>. თუმცა, სხვა ქვეყნების მსგავსად, აქაც მოცემულია მოსამართლის „მაღალი სტატუსისთვის შეუფერებელი ქცევა“, როგორც გადაცდომის სახე და ისეთი ტერმინები გადაცდომების შინაარსის

<sup>5</sup> Consultative Council of European Judges (CCJE), Opinion no. 3 for the attention of the Committee of Ministers of the Council of Europe on the principles and rules governing judges' professional conduct, in particular ethics, incompatible behavior and impartiality, 19 November, 2002, პარ. 63, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/168070098d>

<sup>6</sup> KYIV RECOMMENDATIONS ON JUDICIAL INDEPENDENCE IN EASTERN EUROPE, SOUTH CAUCASUS AND CENTRAL ASIA – Judicial Administration, Selection and Accountability, Kyiv, 23-25 June 2010.

<sup>7</sup> OSCE/ODIHR, NOTE ON INTERNATIONAL STANDARDS AND GOOD PRACTICES OF DISCIPLINARY PROCEEDINGS AGAINST JUDGES, 27 December 2018, გვ. 16.

<sup>8</sup> იხ. საქართველოს 2019 წლის 13 დეკემბრის ორგანული კანონი №5569, მუხლი 1, პუნქტი 12.

<sup>9</sup> განმარტებითი ბარათი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/224113?>

განსაზღვრისას, როგორცაა „უპატივცემულობა“, „საქმის აცილების აშკარა საფუძველი“, გადაწყვეტილების მიღება „ზეგავლენით“ და ა.შ., რაც თავისთავად მოითხოვს ინტერპრეტაციას. ამის გათვალისწინებით, იმის თქმა, რომ მოსამართლეებისთვის ან ამ დისციპლინური პასუხისმგებლობის განმახორციელებელი ორგანოებისთვის გადაცდომის სახეები ცხადი და ბუნდოვანებებისგან დაცლილია, რეალობას აცდენილი იქნებოდა. შესაბამისად, გადაცდომების შემადგენლობების სწორად განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია განმარტების დამხმარე წყაროების იდენტიფიცირება.

ერთი ამგვარი წყარო შეიძლება იყოს სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის კონტექსტში. ქვემოთ განხილული იქნება საფრანგეთისა და იტალიის შესაბამისი კანონმდებლობა და პრაქტიკა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყნის კანონმდებლობა საკმაოდ განსხვავებულია საქართველოს კანონმდებლობისგან, გადაცდომის ისეთი ფართოდ გავრცელებული სახეები, რომლებიც უკავშირდება მიკერძოებას, თვითაცილებაზე უარს, საკანონმდებლო ვადების დარღვევას, თავისთავად უნივერსალურია და თითქმის ყველა სისტემაში გვხვდება. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია დისციპლინური გადაცდომის ცალკეულ ელემენტებთან (მაგ. ზიანი ან მისი საფრთხე, რომლის არსებობაც მოითხოვება, რათა ქმედება გადაცდომად ჩაითვალოს, ბრალის ელემენტი, გამართლებები, ცალკეული დარღვევების შემთხვევაში, ა.შ.) დაკავშირებული პრაქტიკა, რომლებზე მსჯელობაც სხვადასხვა ან ყველა გადაცდომის შემთხვევაში შეიძლება იყოს საჭირო. საფრანგეთისა და იტალიის შესაბამისი პრაქტიკის კვლევისას, სწორედ ამ უნივერსალურ და ქართული რეალობისთვის რელევანტურ ასპექტებზე გაკეთდება აქცენტი.

უშუალოდ საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, ამ კვლევისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი მიგნებები:

- მოსამართლის უფლებამოსილების შესრულების ასპექტები, რომლებიც „გათავისუფლებულია“ დისციპლინური პასუხისმგებლობის კონტროლისგან, არის სამართლის განმარტება, ფაქტებისა და მტკიცებულებების შეფასება – იმ დათქმით, რომ ამ ნაწილში ხარვეზები გამოწვეული არ არის განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით; ანუ ეს ასპექტებიც არ სარგებლობს აბსოლუტური იმუნიტეტით, გარკვეულ პირობებში.
- მიუხედავად საყოველთაო კონსესუსისა იმასთან დაკავშირებით, რომ დისციპლინური გადაცდომის საფუძვლები მაქსიმალურად დეტალურად უნდა გაიწეროს და არ უნდა იყოს ზოგადი და მანიპულირებადი შინაარსის, სხვადასხვა ქვეყნის სამართალი ადასტურებს, რომ მაქსიმალური დეტალურობის მცდელობის მიუხედავად, ქვეყნები მაინც ითვალისწინებენ ღია ჩამონათვალს, რომელიც არაპირდაპირ მითითებული ქცევების დისციპლინური პასუხისმგებლობის ფარგლებში მოქცევის შესაძლებლობას იძლევა.

- შეთანხმება იმაზე, რომ ევროპულ დონეზე შეუძლებელი იქნება იმ გადაცდომების ბუნების ზუსტად და დეტალურად გაწერა, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს დისციპლინურ წარმოებას, მიუთითებს, რომ ქვეყნები თავიანთი გამოცდილებიდან და პრობლემებიდან გამომდინარე ადგენენ ამ გადაცდომების ჩამონათვალს. მიუხედავად იმისა, რომ როგორც კიევის რეკომენდაციებშია აღნიშნული, აქ ყოველთვის იგულისხმება უხეში, უპატიებელი და სასამართლო ხელისუფლების რეპუტაციის შემლახავი ქცევა, ამ ქცევების შინაარსი განსხვავდება ქვეყნებს შორის.

## 2. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა იტალიაში

### ა. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა

მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომის სახეებს არეგულირებს 2006 წლის საკანონმდებლო დეკრეტი მაგისტრების დისციპლინური გადაცდომების, მათთან დაკავშირებული სანქციებისა და პროცედურების, ასევე შეუთავსებლობის წესებში ცვლილებებისა და სამსახურიდან გათავისუფლების ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ<sup>10</sup>. აღნიშნული კანონის პირველი მუხლი განსაზღვრავს მაგისტრების ვალდებულებებს, შეასრულონ თავიანთი უფლებამოსილება მიუკერძოებლად, კორექტულად, გულისხმიერად, შრომისმოყვარეობით, კონფიდენციალურობის დაცვით და გაწონასწორებულობით და ადამიანების ღირსების პატივისცემით. მომდევნო სამი მუხლი ადგენს კონკრეტული გადაცდომის სახეებს შემდეგი სქემით: მუხლი 2 – უფლებამოსილების შესრულების პროცესთან დაკავშირებულ გადაცდომებს; მუხლი 3 – სასამართლოს გარეთ ჩადენილ გადაცდომებს და მუხლი 4 – დანაშაულებიდან გამომდინარე გადაცდომებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მსგავსად, №109 საკანონმდებლო დეკრეტიც შეიცავს იმ დათქმას, რომ თუ ფაქტი მცირე მნიშვნელობისაა, არ ჩაითვლება, რომ დისციპლინურ გადაცდომა მოხდა<sup>11</sup>. კიდევ ერთი დათქმის მიხედვით, კანონის განმარტება და ფაქტებისა და მტკიცებულებების შეფასება არ წარმოშობს დისციპლინურ პასუხისმგებლობას, თუ სახეზე არაა მე-2 მუხლით გათვალისწინებული კონკრეტული გადაცდომები, მაგალითად, 1. კანონის მძიმე დარღვევა, გამოწვეული უცოდინრობით ან უპატიებელი გაუფრთხილებლობით, 2. ფაქტების არასწორად გადმოცემა, გამოწვეული უპატიებელი გაუფრთხილებლობით, 3. აქტების გამოცემა დაუსაბუთებლად ან მხოლოდ სამართლებრივ წანამდგვრებზე მითითებებით, ფაქტების მოყვანის გარეშე, 4. კანონით გაუთვალისწინებელი ზომების მიღება, რამაც გამოიწვია ინდივიდის უფლებების, განსაკუთრებით საკუთრების უფლების

<sup>10</sup> საკანონმდებლო დეკრეტი №109, 2006 წლის 23 თებერვალი, ხელმისაწვდომია (იტალიურ ენაზე): <https://www.csm.it/documents/21768/112811/Decreto+legislativo+23+febbraio+2006+n.109/1724c63d-7b66-400e-b69a-097fdb188439>

<sup>11</sup> იქვე, მუხლი 3-bis.

დარღვევა, 5. კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებული შიდა რეგულაციებისა და დებულებების სისტემატური დარღვევა, 6. საკუთარი მოვალეობების სხვებისთვის არაჯეროვანი გადაბარება კანონიერი საფუძვლის გარეშე, 7. სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ცხოვრება და მუშაობა, 8. განზრახ იმგვარი აქტების მიღება, სადაც დასაბუთება და სარეზოლუციო ნაწილი ერთმანეთთან ცალსახად შეუთავსებელია, 9. იმგვარი ზომების მიღება, რასაც არ ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა, უხეში ან უპატიებელი გაუფრთხილებლობის გამო<sup>12</sup>.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ მე-2 მუხლში ჩამოთვლილი კონკრეტული სამსახურებრივი გადაცდომების გარდა, მოცემულია აგრეთვე ე.წ. რეზიდუალური პასუხისმგებლობის საფუძველი: მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს ქცევა, რომელიც არღვევს ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილ ვალდებულებებს, რითაც არაჯეროვნად აზიანებს ან ხელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ერთ-ერთ მხარეს. რეზიდუალური საფუძვლის ჩათვლით, მე-2 მუხლი ადგენს 25 სამსახურებრივ დისციპლინურ გადაცდომას<sup>13</sup>.

ამ ვრცელ ჩამონათვალში გვხვდება დარღვევები, რომელთა მსგავსს საქართველოს კანონმდებლობაც ითვალისწინებს, მაგალითად, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აცილებაზე უარის თქმა, სხვა მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა, საკუთარი უფლებამოსილების შესრულებისთვის დადგენილი საკანონმდებლო ვადების სისტემატური და გაუმართლებელი დარღვევა და ა.შ. თუმცა, არის აგრეთვე საფუძვლები, რომლებიც [სულ მცირე, პირდაპირ] არ არის გათვალისწინებული „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულის კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტით (თუ „ზ“ ქვეპუნქტში არ იქნა ამოკითხული), მაგალითად, მოსამართლის მიერ კონფიდენციალური პროცესუალური დოკუმენტების გასაჯაროება, პირადი თავისუფლების შემზღუდავი ზომების მიღება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონითაა ეს გათვალისწინებული, ჩადენილი უხეში და უპატიებელი გაუფრთხილებლობით, იმგვარი მიზნებით მოქმედება, რომელიც არ უკავშირდება სამოსამართლო უფლებამოსილებას და მის ვალდებულებებს და ა.შ.

ქვემოთ, გადაწყვეტილების მიმოხილვისას ყურადღება გამახვილდება იმ გადაცდომებზე, რომელთა ანალოგებსაც საქართველოს კანონმდებლობაც ითვალისწინებს, ან განსხვავებული შემადგენლობის იმ ელემენტებზე, რომლებიც საქართველოშიც მნიშვნელოვანია დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში.

ამ ნაწილში გასათვალისწინებელია რამდენიმე გარემოება:

---

<sup>12</sup> იხ. მუხლი 2, პუნქტი 2

<sup>13</sup> A. Nais, C. Florence and E. Morgane, A Comparative Analysis of Disciplinary Systems for European Judges and Prosecutors, 2012, ხელმისაწვდომია: <http://www.ejtn.eu/Documents/Themis%202012/THEMIS%202012%20ERFURT%20DOCUMENT/Written%20paper%20France%203.pdf>

- იტალიის კანონმდებლობა ერთ-ერთი ყველაზე დეტალურია მაგისტრების დისციპლინური გადაცდომის საფუძვლებთან დაკავშირებით. ამის მიუხედავად, სამსახურებრივი გადაცდომების ჩამონათვალი მაინც ღიაა და მითითებას აკეთებს მოსამართლეთა ზოგადი ვალდებულებების (მიუკერძოებლობა, წესიერება, გულისხმიერება, შრომისმოყვარეობა, კონფიდენციალურობის დაცვა, გაწონასწორებულობა და ადამიანების ღირსების პატივისცემა) სხვა დარღვევებზე, რომელიც რომელიმე კონკრეტული გადაცდომის ფარგლებში არ ხვდება.
- ზოგადი დათქმის მიხედვით, კანონის ინტერპრეტაცია არ წარმოადგენს დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს, თუმცა აქედან მთელი რიგი გამონაკლისებია თავად კანონში დაკონკრეტებული. მაგალითად, ინტერპრეტაცია, რომლის შედეგადაც კანონი დაირღვა უხეში ან უპატიებელი გაუფრთხილებლობით, იქნება გადაცდომა. ისევე როგორც ინტერპრეტაციის შედეგად კანონით გაუთვალისწინებელი ზომების მიღება, რის შედეგადაც შეილახა მხარის უფლებები, არის გადაცდომა. ამდენად, ზოგადი წესის მიუხედავად, ინტერპრეტაციის კონკრეტული შემთხვევები ქმნის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს.

#### *ბ. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები*

მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო თავისი პრაქტიკის ყოველწლიურ განზოგადებაში სამსახურებრივ გადაცდომებს შემდეგნაირად აჯგუფებს:

- მიუკერძოებლობის ვალდებულების დარღვევა
- წესიერების (correctness) ვალდებულების დარღვევა
- სათანადო გულისხმიერების ვალდებულების დარღვევა
- შრომისმოყვარეობის ვალდებულების დარღვევა
- კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულების დარღვევა
- მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ზოგადი და რეზიდუალური შემთხვევები<sup>14</sup>.

არასამსახურებრივი გადაცდომების შემთხვევები ნაკლებია და არაგანზოგადებულად არის წარმოდგენილი. ქვემოთ განხილული იქნება მაგალითები, გადაცდომების თითოეული ჯგუფიდან.

<sup>14</sup> იხ. მაგ. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს დისციპლინური სექციის გადაწყვეტილებების მთავარი დადგენილებები, 2019, ხელმისაწვდომია (იტალიურ ენაზე): [https://www.csm.it/web/csm-internet/giurisprudenza-disciplinare/dettaglio-massimario/-/asset\\_publisher/YoFFLzL3vKc1/content/massimario-delle-decisioni-della-sezione-disciplinare-depositate-nell-anno-2019?redirect=/web/csm-internet/giurisprudenza-disciplinare/massimario](https://www.csm.it/web/csm-internet/giurisprudenza-disciplinare/dettaglio-massimario/-/asset_publisher/YoFFLzL3vKc1/content/massimario-delle-decisioni-della-sezione-disciplinare-depositate-nell-anno-2019?redirect=/web/csm-internet/giurisprudenza-disciplinare/massimario)

### მიუკერძოებლობის ვალდებულება

მიუკერძოებლობის ვალდებულების დარღვევის ფარგლებში ძირითადად განხილულია შემთხვევები, რომლებიც უკავშირდება საქმის აცილებას, როდესაც მოსამართლის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არსებობს.

მაგალითად, 2019 წლის ერთი გადაწყვეტილება<sup>15</sup> ეხებოდა მოსამართლის აცილების ვალდებულებას, როდესაც ერთ-ერთი დასაცავი პირის ადვოკატთან მას აკავშირებდა მრავალწლიანი ახლო ურთიერთობა. რეალურად, შესაბამის სხდომაზე, მოსამართლეთა კოლეგიამ მიიღო მხოლოდ სხდომის გადადების გადაწყვეტილება. სადისციპლინო კოლეგიამ აღნიშნა, რომ სხდომის გადადებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის დაკმაყოფილებამ შეიძლება სხვა მხარეები ჩააყენოს არახელსაყრელ მდგომარეობაში და ამ ტიპის გადაწყვეტილებაც მოითხოვს მოსამართლის მიერ შინაარსობრივი შეფასების გაკეთებას. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ რეალურად, სხდომაზე მოსამართლეს საქმეზე არ უმსჯელია, მას უნდა განეხორციელებინა თვითაცილება და შეგნებულად დაარღვია აცილების ვალდებულება.

სხვა საქმეში<sup>16</sup>, თვითაცილების ვალდებულებასთან დაკავშირებით მოსამართლემ რამდენჯერმე მიმართა სასამართლოს მენეჯერს და დეტალურად აღუწერა ფაქტობრივი მდგომარეობა მხარესთან თავისი ურთიერთობის შესახებ. მენეჯერმა დაარწმუნა, რომ ამ შემთხვევაში არც სავალდებულო და არც ნებაყოფლობითი აცილების საფუძველი არ არსებობდა. ამ შემთხვევაში დისციპლინურმა სექციამ გადაწყვიტა, რომ აცილების საფუძვლის მიუხედავად, გადაცდომა არ არსებობდა, რადგან ეს გადაცდომა თავისი არსით მოითხოვს განზრახვას, როგორც თავის სუბიექტურ ელემენტს (conscious failure to comply) და მოსამართლის ქცევა და მისი მიმართვა მენეჯერისადმი აცილებასთან დაკავშირებით ადასტურებდა, რომ მოსამართლეს აცილების ვალდებულების დარღვევის განზრახვა არ ჰქონდა.

აცილების ვალდებულების დარღვევა არ დადგინდა კიდევ ერთ საქმეში<sup>17</sup> პროკურორის წინააღმდეგ. პროკურორს დაეწერა და არ აიცილა სისხლის სამართლის საქმე იმ პირი წინააღმდეგ, რომელთა მშობლებთანაც ქირავნობის ხელშეკრულება ჰქონდა დადებული (ხელშეკრულება დევნის დაწყებამდე იყო დადებული) და მათ საკუთრებაში ცხოვრობდა. დისციპლინურმა სექციამ ჩათვალა, რომ ამ სიტუაციაში აცილების ვალდებულება არ წარმოიშობოდა, რადგან არ იყო გამოკვეთილი პროკურორის რაიმე ინტერესი, რის გამოც აცილება უნდა განეხორციელებინა.

---

<sup>15</sup> ORD. n. 52 of 2019 R.G. 129/2016, იხ. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს დისციპლინური სექციის გადაწყვეტილებათა შეჯამება, 2019, ხელმისაწვდომია: [https://www.csm.it/web/csm-internet/giurisprudenza-disciplinare/dettaglio-massimario/-/asset\\_publisher/YoFflzL3vKc1/content/massimario-delle-decisioni-della-sezione-disciplinare-depositate-nell-anno-2019?redirect=/web/csm-internet/giurisprudenza-disciplinare/massimario](https://www.csm.it/web/csm-internet/giurisprudenza-disciplinare/dettaglio-massimario/-/asset_publisher/YoFflzL3vKc1/content/massimario-delle-decisioni-della-sezione-disciplinare-depositate-nell-anno-2019?redirect=/web/csm-internet/giurisprudenza-disciplinare/massimario)

<sup>16</sup> ORD. n. 51 of 2019 R.G. n. 40/2017, იქვე, გვ. 8.

<sup>17</sup> ORD. n. 41 of 2019 R.G. n. 37/2018, იქვე, გვ. 7.

სხვა საქმეში<sup>18</sup>, სადაც დადგინდა, რომ პროკურორს მეგობრობა აკავშირებდა ბრალდებულთან და არ აიცილა საქმე, დისციპლინურმა სექციამ დაადგინა დარღვევა და აღნიშნა: „მაშინაც კი, თუ არ არსებობს რომელიმე მხარის სასარგებლო ან საზიანო გადაწყვეტილებების მიღების განზრახვა, მაგისტრს აქვს ვალდებულება, ყველაფერი გააკეთოს, რათა გამოჩნდეს როგორც მიუკერძოებელი და ეს ვალდებულება მოიცავს იმგვარად მოქცევის მოვალეობას, რომ საზოგადოებაში არ გაჩნდეს ეჭვი იმ საქმით დაინტერესებული მხარისადმი მისი მიკერძოების შესახებ, რომელიც მან უნდა განიხილოს“.

#### წესიერების ვალდებულება

წესიერების ვალდებულების ქვეშ დარღვევების უფრო დიდი მრავალფეროვნებაა. აქ ხვდება სასამართლოს შინაგანაწესისა და კონკრეტული ორგანოს მიერ მიღებული ორგანიზაციული წესების დარღვევა, არაკორექტული საქციელი სხვა მოსამართლეების ან პროცესის მონაწილეების მიმართ, ასევე სხვა მოსამართლის საქმეებში ჩარევა.

დისციპლინურმა სექციამ სასამართლო, საორგანიზაციო და ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურებასთან დაკავშირებული დადგენილებების სისტემატური ან მძიმე დარღვევა დაადგინა სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ქცევაში, რომელმაც სამუშაო დღის განმავლობაში პირადი მიზნებისთვის, ოჯახთან ერთად გამოიყენა სამსახურის მანქანა და დამატებით, თავის მძღოლს მისცა სამსახურთან დაუკავშირებელი, პირადი მიზნებით მისი გამოყენების უფლება<sup>19</sup>.

მხარეების, ადვოკატების, მოწმეების ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ, ვისთანაც კავშირი აქვს სამსახურში, ან სხვა მოსამართლეების ან თანაშემწეების მიმართ სისტემატურად<sup>20</sup> ან მძიმედ არაკორექტული ქცევისთვის არ დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა სამოქალაქო სამართლის მოსამართლეს, რომელმაც სხდომაზე იხუმრა, რათა განეტვირთა მხარეებს შორის უაღრესად დამაბული სიტუაცია. ერთ-ერთი მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობის პასუხად მან თქვა: „ამ საქმეს თავი უნდა გაანებო... მე ვარ და ვიქნები თქვენი ბნელი მხეცი... არ აქვს აზრი ამ შუამდგომლობის დაყენებას, რადგან შენ წააგებ...“ დისციპლინურმა სექციამ განაცხადა: „ჩვენ აბსოლუტურად არ ვიზიარებთ სხდომის ჩატარების ამგვარი მეთოდის ეფექტიანობას, თუმცა ამ საქმეში მძიმე გადაცდომისთვის საჭირო ელემენტები არ არსებობს“.

<sup>18</sup> SENT. n. 133 of 2019 R.G. 8/2014 – 57/2018, გვ. 16.

<sup>19</sup> ORD. n. 100 del 2019 R.G. 96/2018, იქვე, გვ. 31.

<sup>20</sup> ORD. n. 10 of 2019 R.G. 52/2018

მხარეების მიმართ უწესო ქცევის გადაცდომა არ დადგინდა სხვა საქმეშიც<sup>21</sup>, სადაც მოსამართლემ სხდომა დაახლოებით ათი წუთით შეწყვიტა იმისთვის, რომ თავისი შვილისთვის ეპასუხა ზარზე და დაერიგებინა, როგორ უნდა მისულიყო მკერავთან. დისციპლინური სექციის აზრით, ამგვარი ქცევა მართალია უცნაური და სასაცილოა, მაგრამ მძიმედ უწესო საქციელს არ წარმოადგენს. თუმცა, ამავე საქმეში, მოსამართლის მიერ მხარისთვის „თაღლითის“ წოდება, უწესო ქცევის გადაცდომად ჩაითვალა.

ამავე გადაცდომის მაგალითი იყო მოსამართლის ქცევა<sup>22</sup>, რომელმაც საჯარო კონფერენციაზე სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარეს და ერთ-ერთი კოლეგიის თავმჯდომარეს კრიმინალები უწოდა. დისციპლინურმა სექციამ აღნიშნა, რომ ამ ბრალდების შესაძლო ნამდვილობა არ იყო რელევანტური გადაცდომის არსებობის განსაზღვრისთვის; მოსამართლის სუბიექტური რწმენა, რომ ამ პირებმა დანაშაულები ჩაიდინეს, არ აძლევდა მას უფლებას, ისინი დამნაშავეებად გამოეცხადებინა საჯარო კონფერენციაზე სასამართლოში.

იმავე გადაცდომას განეკუთვნება მოსამართლის ქცევა, რომელიც სისტემატურად ხვდებოდა სხვა მოსამართლეებს და კონსულტაციებს აწარმოებდა მათთან, რათა შეერჩია საკუთარი ინტერესების შესაბამისად კონკრეტულ თანამდებობზე დასანიშნი პირები და მიეღო ამისთვის საჭირო ზომები<sup>23</sup>.

#### გულისხმიერების ვალდებულება

გულისხმიერების ვალდებულების დარღვევებს განეკუთვნება ყველაზე ფართოდ გავრცელებული დისციპლინური გადაცდომა, როგორცაა საქმის განხილვის ვადების დარღვევა. აქვე ხვდება კანონის უხეში დარღვევები უპატიებელი გაუფრთხილებლობით ან უცოდინრობით და სასამართლოს აქტების დასაბუთების ხარვეზებთან დაკავშირებული გადაცდომები. აღსანიშნავია, რომ ამ ბოლო ორი კატეგორიის შემთხვევაში დისციპლინური სექცია მიუთითებს როგორც გულისხმიერების, ისე შრომისმოყვარეობის ვალდებულების დარღვევაზე და ამ ორ ვალდებულებას შორის გადაცდომების გადანაწილებას ძალიან პირობითი ხასიათი აქვს.

დისციპლინურმა სექციამ არ ჩათვალა, რომ სისტემატურ, მძიმე და გაუმართლებელ გაჭიანურებას ქონდა ადგილი სამოქალაქო მოსამართლის მიერ თავისი ფუნქციების შესრულებისას, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ღონისძიება მნიშვნელოვანი დაგვიანებით გატარდა, რის შედეგადაც მხარეს დაეკარგა შესაძლებლობა, გარკვეული რეგულაციის მოთხოვნები შეესრულებინა მისგან დამოუკიდებელი მიზეზით. დისციპლინური სექციის გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო იმ გარემოებით, რომ

<sup>21</sup> იხ. [https://www.csm.it/web/csm-internet/giurisprudenza-disciplinare/dettaglio-provvedimenti/-/asset\\_publisher/YoFFLzL3vKc1/content/sentenza-n-9-20-1?redirect=/web/csm-internet/giurisprudenza-disciplinare/provvedimenti](https://www.csm.it/web/csm-internet/giurisprudenza-disciplinare/dettaglio-provvedimenti/-/asset_publisher/YoFFLzL3vKc1/content/sentenza-n-9-20-1?redirect=/web/csm-internet/giurisprudenza-disciplinare/provvedimenti)

<sup>22</sup> ORD. n. 44 del 2019 R.G. 43/2019, გვ. 23.

<sup>23</sup> ORD. n. 73 of 2019 R.G. 76/2019, გვ. 31.



მოსამართლე გადატვირთული იყო არანორმალური ოდენობის საქმეებით, რაც წარმოიშვა საქმეების განაწილების პროგრამის მცდარი მიუშაობის შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლემ ძალიან დიდი შრომა გასწია ამ დატვირთვის შესამცირებლად<sup>24</sup>. სხვა საქმეში, სადაც მოსამართლეს უკვე დაკისრებული ჰქონდა ვადების დარღვევის გამო პასუხისმგებლობა და კიდევ დაარღვია რამდენიმე ვადა, – მათ შორის ყველაზე ხანგრძლივი იყო 1030-დღიანი გადაცილება, – გადაცდომა დადგინდა და დაცვის მხარის არგუმენტი მოსამართლის პროდუქტიულობასთან დაკავშირებით არ იქნა საკმარის გამართლებად მიჩნეული<sup>25</sup>.

გაჭიანურების გამართლებასთან დაკავშირებით საინტერესოა საქმე<sup>26</sup>, სადაც სისხლის სამართლის კოლეგიის თავმჯდომარეს ედებოდა ბრალი გადაწყვეტილებების გამოტანის გაუმართლებელ დაგვიანებაში. დისციპლინურმა სექციამ აღნიშნა, რომ თავმჯდომარემ აჩვენა გამონაკლისური პროდუქტიურობა, ის გადატვირთული იყო საქმეებით, რომელთაგან რამდენიმე ხასიათდებოდა განსაკუთრებული სირთულით და ეს საქმეები გადაწყვიტა მოკლე დროში; მას ამასთანავე ეკისრებოდა სისხლის სამართლის კოლეგიის კოორდინირების პასუხისმგებლობა, რის საკომპენსაციოდაც მისი საქმეებით დატვირთვა არ მცირდებოდა და, იმავდროულად, მძიმე ოჯახური სიტუაცია ჰქონდა ბავშვის ავადმყოფობის გამო. აღნიშნული სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ერთობლიობის გათვალისწინებით, დისციპლინურმა სექციამ დაასკვნა, რომ დისციპლინური გადაცდომა არ ყოფილა.

გულისხმიერების ვალდებულების დარღვევებს განაკუთვნიებენ კანონის უცოდინრობით ან გაუფრთხილებლობით გამოწვეულ მძიმე დარღვევებსაც. ასეთი იყო შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ პროკურორის შესაბამისი შუამდგომლობისა და აღკვეთის ღონისძიების საჭიროების გამოკვლევის გარეშე დააკისრა პირს პატიმრობა აღკვეთის ღონისძიების სახით<sup>27</sup>.

სხვა შემთხვევაში<sup>28</sup>, დისციპლინურმა სექციამ გადაწყვიტა, რომ მოსამართლეს არასაპატიო გაუფრთხილებლობით ან უცოდინრობით კანონი არ დაურღვევია, როდესაც მას წინასასამართლო სხდომაზე გამორჩა აღკვეთის ღონისძიების ხანგრძლივობის გადამოწმება, მაქსიმალური ვადა კი უკვე გასული იყო, რის შედეგადაც პირმა დამატებით 26 დღე გაატარა პატიმრობაში. გადაწყვეტილება ეფუძნებოდა იმ გარემოებების გათვალისწინებას, რომ 1. მოსამართლე იყო უაღრესად გადატვირთული საქმეებით; 2. სასამართლოში დადასტურებული იყო სისტემატური ორგანიზაციული გაუმართაობა; 3. დარღვევას არ მოჰყოლია ხმაური და შემთხვევა

<sup>24</sup> SENT. n. 5 of 2019 R.G. 128/2017, გვ. 41.

<sup>25</sup> SENT. n. 17 of 2019 R.G. 49 / 2017-76 / 2018.

<sup>26</sup> SENT. n. 35 of 2019 R.G. 64/2017, გვ. 47.

<sup>27</sup> SENT. n. 70 of 2019 R.G. 32/2018, გვ. 51.

<sup>28</sup> SENT. n. 83 of 2019 R.G. 85/2016, გვ. 64.

გამოვლინდა იუსტიციის სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევისას, ფაქტიდან სამი წლის შემდეგ; 4. ეს იყო სრულიად იზოლირებული შემთხვევა<sup>29</sup>.

#### შრომისმოყვარეობის ვალდებულება

როგორც ზემოთ ვთქვით, საქმის განხილვის ვადების დარღვევა, ისევე როგორც დასაბუთების ხარვეზები, წარმოადგენს როგორც გულისხმიერების, ისე შრომისმოყვარეობის ვალდებულების დარღვევას და ქვემოთ განხილული საქმეც ორივე კატეგორიაში ხვდება.

გულისხმიერების და შრომისმოყვარეობის ვალდებულების ფარგლებში შეფასდა მოსამართლის ქცევა<sup>30</sup>, რომელმაც საერთაშორისო დაცვის ღონისძიებასთან დაკავშირებული სამართალწარმოებისას, თავის გადაწყვეტილებაში ინგლისურ ენაზე მიუთითა შესაბამისი სამართლებრივი აქტის რამდენიმე პარაგრაფი, რაც კოპირებული იყო ერთ-ერთი ვებგვერდიდან. ბოლო ნაწილში ძალიან მოკლედ, იტალიურ ენაზე იყო მითითებული მთავარი არგუმენტები გადაწყვეტილების დასაბუთებლად. დისციპლინურმა სექციამ აღნიშნა, რომ „გადაწყვეტილებაში უცხოენოვანი ტექსტის ჩართვა, რომელიც ინტერნეტიდან არის აღებული, მის იტალიურ ენაზე უთარგმნელად, ცალსახად მიუთითებს პროფესიონალიზმის ნაკლებობაზე, მაგრამ ეს ავტომატურად არ ნიშნავს, რომ დასაბუთება საერთოდ არ არსებობს, რაც მოითხოვება მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“<sup>31</sup> ქვეპუნქტისთვის“.

#### კონფიდენციალურობის ვალდებულების დარღვევა

კონფიდენციალურობის ვალდებულების დარღვევასთან დაკავშირებით რამდენიმე გადაცდომას ითვალისწინებს კანონი<sup>32</sup>. ერთ-ერთ საქმეში<sup>33</sup> დისციპლინურმა სექციამ კონფიდენციალურობის ვალდებულების დარღვევის გამო პასუხისმგებლობა დააკისრა კოლეგიის თავმჯდომარეს, რომელმაც აქტის საჯაროდ გამოცხადებისას, დამატებით აღნიშნა, რომ ის ერთხმად იქნა მიღებული. სექციამ, მიუხედავად იმისა, რომ ამ განცხადებით რომელიმე პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა არ შელახულა, დაადგინა დისციპლინური გადაცდომა.

#### მოვალეობის დარღვევის ზოგადი შემთხვევა

იმის გათვალისწინებით, რომ გადაცდომები კანონში საკმაოდ დეტალურად არის გაწერილი, მოვალეობის დარღვევის ზოგად შემთხვევაზე აპელირება იშვიათად

<sup>29</sup> ამ შემთხვევაში გადაწყდა, რომ არ არსებობდა გადაცდომა ფაქტის მცირე მნიშვნელობის გამო.

<sup>30</sup> SENT. n. 55 del 2019 R.G. 4 -77/2018, გვ. 54.

<sup>31</sup> საკანონმდებლო დეკრეტი №109, 2006 წლის 23 თებერვალი, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაცდომას წარმოადგენს, „როდესაც კანონი ითვალისწინებს დასაბუთებას, დაუსაბუთებელი ღონისძიებების მიღება, ან იმგვარი დასაბუთების მიღება, რომელიც ადასტურებს სამართლებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილებას ფაქტობრივი ელემენტების მოყვანის გარეშე, საიდანაც უნდა გამომდინარეობდეს დასკვნა სამართლებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ“.

<sup>32</sup> იხ.იქვე, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „u“, „v“, „z“ „aa“ და „bb“ ქვეპუნქტები.

<sup>33</sup> SENT. n. 109 of 2019 R.G. 5/2017, გვ. 87.

ხდება საჭირო. თუმცა, ამ რეზიდუალური აკრძალვის დარღვევა დაადგინა დისციპლინურმა სექციამ საქმეში<sup>34</sup>, სადაც საგამოძიებო მოსამართლემ არ გაათავისუფლა ბრალდებული აღკვეთის ღონისძიებიდან (შინაპატიმრობიდან). ეს გაუფრთხილებელი ქცევა გამოწვეული იყო მცდარი რწმენით, რომ აღკვეთის ღონისძიების მაქსიმალური ვადა არ იყო ამოწურული, რადგან ამ ვადის დენა თავიდან იწყებოდა, როდესაც პატიმრობა შინაპატიმრობით ჩანაცვლდა. დისციპლინურმა სექციამ მიუთითა, რომ „კანონის მცდარი ინტერპრეტაცია, რომელიც არ ეფუძნება პროცესუალური სისტემის გონივრულ აღქმას, არ ნიშნავს, რომ გაუფრთხილებლობა საპატიოა“. შესაბამისად, მოსამართლეს დაეკისრა პასუხისმგებლობა.

#### არასამსახურებრივი გადაცდომები

არასამსახურებრივი გადაცდომები მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს განზოგადებაში ორ ჯგუფად არის წარმოდგენილი: ა. მაგისტრის უფლებამოსილების არაჯეროვანი გამოყენება, კანონით აკრძალული პირების მონახულება ან მათთან საქმიანი ურთიერთობის ქონა, ამგვარი პირებისგან სესხის ან შეღავათის მიღება; ბ. სასამართლოს გარეთ თანამდებობის დაკავება უნებართვოდ, მოსამართლის უფლებამოსილებასთან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელება, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოსამართლის მოვალეობების შესრულებას, იმგვარი გაერთიანების წევრობა, რაც შეუთავსებელია მოსამართლის საქმიანობასთან, პოლიტიკური პარტიის წევრობა, ეკონომიკურ-ფინანსური საქმიანობის განხორციელება.

პირველ ჯგუფს განეკუთვნებოდა საქმე<sup>35</sup> მოსამართლის წინააღმდეგ, რომელიც შიგადაშიგ სტუმრობდა და რამდენიმეჯერ სატელეფონო კონტაქტი ჰქონდა იმ კლუბის მფლობელთან, რომლის წინააღმდეგაც მიმდინარეობდა გამოძიება ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით. დისციპლინურმა სექციამ მიიჩნია, რომ მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინური გადაცდომა არ იკვეთებოდა, რადგან არ არსებობდა მტკიცებულება, რომ მან იცოდა კლუბის მეპატრონის ნასამართლობის და მიმდინარე გამოძიების ან კლუბში არსებული ნარკოტიკული დანაშაულების შესახებ.

მეორე ჯგუფს განეკუთვნება საქმე<sup>36</sup>, რომელიც ეხებოდა საკასაციო სასამართლოს მოსამართლის მონაწილეობას გამომსვლელად სემინარებზე, კონფერენციებზე, სასწავლო შეხვედრებსა და მსგავს ღონისძიებებზე. კითხვა მდგომარეობდა იმაში, მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს ნებართვის გარეშე ამგვარ ღონისძიებებში მონაწილეობა ხომ არ იყო სასამართლოს გარეთ საქმიანობის განხორციელება, რომლისთვისაც ნებართვა მოითხოვებოდა. დისციპლინურმა სექციამ ყურადღება

<sup>34</sup> SENT. n. 92 of 2019 R.G. 94-95-97 / 2018

<sup>35</sup> ORD. n. 27 of 2019 R.G. 23/2018, გვ. 102.

<sup>36</sup> ORD. n. 106 of 2019 R.G. 10/2019.

გამახვილა, რომ მოსამართლე ამ ღონისძიებებში უსასყიდლოდ მონაწილეობდა და ამგვარი საქმიანობის განხორციელება საბჭოს ნებართვის გარეშე თავისუფლად შეიძლებოდა.

#### დანაშაულთან დაკავშირებული გადაცდომები

დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო დეკრეტის მე-4 მუხლი ითვალისწინებს დისციპლინურ გადაცდომებს, რომლებიც გამომდინარეობს მოსამართლის მიერ დანაშაულის ჩადენიდან. ამ მხრივ, ერთგვარად „ავტომატური კავშირია განზრახი დანაშაულისთვის ბრალდების საფუძველსა და დისციპლინურ სამართალწარმოებას შორის“<sup>37</sup>. მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება გახდეს იმგვარი დანაშაულის ფაქტი, რომელსაც შეუძლია შელახოს მოსამართლის სახელი, მაშინაც კი, როდესაც დანაშაულზე დევნის განხორციელება რაიმე მიზეზით (მაგ. ხანდაზმულობის გამო) შეუძლებელია.

სწორედ ამგვარი შემთხვევის მაგალითია საქმე<sup>38</sup>, სადაც მოსამართლემ მის მიერ განსახილველი საქმის გამოყენება სცადა მხარისგან ძველი და დაუკავშირებელი ვალის ამოსაღებად. ეს შემთხვევა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების დანაშაულსაც წარმოადგენდა, თუმცა ხანდაზმულობის გამო დევნა ვერ განხორციელდა. დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში კი მოსამართლე თანამდებობიდან გათავისუფლდა.

მოსამართლემ გადახდისუუნარობის სამართალწარმოების ფარგლებში იურიდიული პირის მეწილეს მოსთხოვა 350 000 ევროს გადახდა წლების წინ მისი მეგობრის ბინის შეძენასთან დაკავშირებული საქმის დასახურად. ბინის შეძენის გარიგება სრულიად დაუკავშირებელი იყო გადახდისუუნარო კომპანიასა და განსახილველ საქმესთან. მოსამართლემ აღნიშნული მოთხოვნა დააყენა შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდნენ მეწილის და კრედიტორი ბანკის იურისტები. სასამართლო მოსმენას ესწრებოდა აგრეთვე მოსამართლის მეგობრის იურისტი, რომელსაც არანაირი სამართლებრივი როლი არ გააჩნდა გადახდისუუნარობის სამართალწარმოებაში. მან სხდომაზე გაიგო, ზუსტად რა ხდებოდა და კლიენტს მეორე დღესვე უთხრა უარი ამ საქმეში მონაწილეობაზე.

მოსამართლის მოთხოვნა, რომ პროცესის მონაწილეს მისთვის და მისი მეგობრისთვის თანხა გადაეხადა, წარმოადგენდა საჯარო უფლებამოსილების უკანონო გამოყენებას, რომელიც განზრახ იყო მიმართული კერძო პირისთვის უკანონო ფინანსური სარგებლის მოსატანად და დაზარალებულს საპირწონე ზიანს აყენებდა. დისციპლინური სექციის გადაწყვეტილების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულს რეალურად ეს თანხა არ გადაუხდია, ზიანი მაინც დადგა, რადგან თავისთავად ქცევა იყო მძიმედ შეუფერებელი მოსამართლისთვის და,

<sup>37</sup> A. Nais, C. Florence and E. Morgane, *ib. სქოლიო 13*, გვ. 9.

<sup>38</sup> დისციპლინური სამართალწარმოება საქმეზე ნო.95/2014 R.G.<sup>38</sup>, 9/2017, 12 ივლისი, 2016.

სავარაუდოდ, შელახავდა არა მხოლოდ ერთი მოსამართლის, არამედ მთელი სასამართლო კორპუსის სახელსა და სანდოობას. სწორედ ამიტომ, მოსამართლე გათავისუფლდა თანამდებობიდან.

### ზიანის საკითხი

როგორც იტალიის კანონმდებლობის მიმოხილვისას აღინიშნა, თუ ფაქტი მცირე მნიშვნელობისაა, დისციპლინური სექცია ასკვნის, რომ ის არაა რელევანტური დისციპლინური წარმოების მიზნებისთვის და, შესაბამისად, არ ახორციელებს დევნას.

ამის მაგალითია საქმე<sup>39</sup>, სადაც მოსამართლეს გამორჩა, რომ პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლის შემდეგ მის მიმართ იძულების ღონისძიების – პატიმრობის – გამოყენება არ შეიძლებოდა. დისციპლინურმა სექციამ ხაზი გაუსვა, რომ ეს შემთხვევა გამოვლინდა ხუთი წლის შემდეგ; თავად ბრალდებულმა არ გაასაჩივრა უკანონო პატიმრობა – მან დააყენა პატიმრობიდან გათავისუფლების მოთხოვნა, რომელიც დაკმაყოფილდა; მოსამართლეს ჰქონდა ბრწყინვალე პროფესიული რეპუტაცია; მის ძალიან წარმატებულ კარიერაში ეს შემთხვევა წარმოადგენდა სრულად იზოლირებულ ეპიზოდს; ქცევას არ დაუზიანებია მოსამართლის და, ზოგადად, მართლმსაჯულების იმიჯი, იმ პატივისცემისა და დაფასების გათვალისწინებით, რომლითაც მოსამართლე სასამართლოში სარგებლობდა. შესაბამისად, დისციპლინურმა სექციამ ჩათვალა, რომ ეს გარემოებები გამორიცხავდა კანონის უხეში გაუფრთხილებლობით ან უცოდინრობით დარღვევის გადაცდომის არსებობას ფაქტის მცირე მნიშვნელობის გამო.

სხვა შემთხვევა<sup>40</sup> ეხებოდა მოსამართლის მიერ შინაგანაწესის სისტემატური ან მძიმე დარღვევის სავარაუდო გადაცდომას. მოსამართლე არ ასრულებდა მისთვის შინაგანაწესით დაკისრებულ გარკვეულ მოთხოვნებს, თუმცა, დისციპლინური სექციის აზრით, ამას არ გამოუწვევია სამოსამართლო საქმიანობაში რაიმე გაუმართაობა და ჩრდილი არ მიუყენებია მოსამართლის იმიჯისთვის. ამიტომ ჩაითვალა, რომ ფაქტი მცირე მნიშვნელობის იყო და არ ქმნიდა გადაცდომას.

შეჯამებისთვის, უნდა გამოვყოთ რამდენიმე საკითხი:

- იტალიის მაგისტრების დისციპლინური პასუხისმგებლობის კანონი განსაზღვრავს მოსამართლეთა ზოგად ვალდებულებებს (მუხლი 1), ხოლო მე-2, მე-3 და მე-4 მუხლებში გაწერს კონკრეტული გადაცდომის სახეებს, კონკრეტულ ვალდებულებებთან მათ დაუკავშირებლად. ამის მიუხედავად, თავად მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო ანაწილებს გადაცდომებს სხვადასხვა ვალდებულების მიხედვით. ამ მხრივ, იტალიის პრაქტიკა გამოსადეგია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულებების შინაარსის უფრო სრულყოფილად აღსაქმელად.

<sup>39</sup> SENT. n. 79 del 2019 R.G. 63/2018.

<sup>40</sup> SENT. n. 92 del 2019 R.G. 94-95-97/2018.

- მიუკერძოებლობის ვალდებულების ფარგლებში, როდესაც აცილების საფუძველი არსებობს, მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად ფორმალურ/ზედაპირულ როლს ასრულებს მოსამართლე საქმისწარმოებაში ან რეალურად ანიჭებს თუ არა რაიმე უპირატესობას იმ მხარეს, ვის მიმართაც აქვს სავარაუდო მიკერძოება – მნიშვნელოვანია, რომ აცილების საფუძველის შემთხვევაში საზოგადოებას არ დარჩეს ეჭვი მიკერძოებასთან დაკავშირებით. ასევე, როდესაც სავარაუდო პირადი ინტერესია აცილების საფუძველი, უნდა დადგინდეს, რა არის ეს პირადი ინტერესი. სხვაგვარად, ის არ წარმოადგენს აცილების საფუძველს.
- წესიერების ვალდებულების ფარგლებში ხვდება ისეთი გადაცდომები, როგორცაა სხვა მოსამართლის საქმეებში ჩარევა, მოსამართლეების ან პროცესის მონაწილეების მიმართ შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება, ასევე კომპეტენტური ორგანოს მიერ მიღებული, სასამართლოს ფუნქციონირების შიდა წესების დარღვევა. აქ ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა იმის გამიჯვნაა, როდის არის მოსამართლის გამოხატვა შეურაცხმყოფელი პროცესის მონაწილის მიმართ და როდის შეიძლება შეფასდეს მხოლოდ უცნაურ ან სასაცილო ქცევად. ამ მხრივ რაიმე ტესტი არ არის იდენტიფიცირებული, უფრო მეტად ეს კონკრეტულ კონტექსტში შესაფასებელი გამონათქვამებია.
- გულისხმიერების ვალდებულების ფარგლებში, ერთი მხრივ, ხვდება გადაცდომის ყველაზე გავრცელებული სახეობა, როგორცაა ვადების დარღვევა და საქმის გადაწყვეტის გაჭიანურება. ამ ნაწილში საინტერესოა, რომ გამამართლებელ გარემოებას მხოლოდ მოსამართლის პროდუქტიულობა არ წარმოადგენს და, როგორც წესი, საბჭო დამატებით ამოწმებს მოსამართლის დატვირთულობას, მის ოჯახურ მდგომარეობას, სასამართლოს ორგანიზაციულ გამართულობას.
- გულისხმიერებისა და შრომისმოყვარეობის მოვალეობის ფარგლებში ხვდება კანონის დარღვევა უცოდინრობით ან უხეში გაუფრთხილებლობით, ისევე როგორც სასამართლო აქტის დასაბუთების ხარვეზები. თუმცა, იმის გადაწყვეტისას, საპატიებელია თუ არა კანონის დარღვევა, საბჭო ითვალისწინებს დარღვევის სისტემატურ ხასიათს, მხარის და საზოგადოების რეაგირებას და შესაბამისი მოსამართლის გადატვირთულობას.
- აღკვეთის ღონისძიებების ვადის ათვლასთან დაკავშირებული მოსამართლის განმარტება, რომელიც, საბჭოს აზრით, აცდენილი იყო პროცესუალური სისტემის გონივრულ აღქმას, ჩაითვალა მოსამართლის ზოგადი მოვალეობების დარღვევად.
- თუნდაც ქცევა აკმაყოფილებდეს გადაცდომის ელემენტებს, თუ იგი მცირე მნიშვნელობისაა, გადაცდომად არ ჩაითვალება. ამ მხრივ, საბჭო სისტემატურად ამახვილებს ყურადღებას იმაზე, ქცევამ თუ გამოიწვია სასამართლოს რეპუტაციის შელახვა/შელახვის რისკი ან მართლმსაჯულების აღსრულებაში გაუმართაობა, რაც მიუთითებს რა ტიპის ზიანი (ან ზიანის საფრთხე) არის განმსაზღვრელი დისციპლინური გადაცდომისთვის.

### 3. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა საფრანგეთში

#### ა. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა

საფრანგეთში მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს ადგენს 1958 წლის 22 დეკემბრის 58-1270 ორგანული კანონი მაგისტრატურის სტატუსის შესახებ, მუხლი 43<sup>41</sup>.

აღნიშნული მუხლის თანახმად, „მაგისტრის მიერ სახელმწიფოს წინაშე არსებული ვალდებულებების, აგრეთვე პატივის, დელიკატურობის ან ღირსების ვალდებულებების ნებისმიერი დარღვევა წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.

სახელმწიფოს წინაშე არსებული ვალდებულებების ერთ-ერთი დარღვევაა მაგისტრის მიერ სასამართლოს ძალაში შესული განაჩენით დადგენილი მძიმე და განზრახი დარღვევა იმ პროცესუალური წესისა, რომელიც მხარის უფლებების არსებით გარანტიას წარმოადგენს.

ბრალი განისაზღვრება პროკურატურის წევრისა და მაგისტრის შემთხვევაში იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური ადმინისტრაციის ფარგლებში, აგრეთვე იმ მაგისტრისთვის, რომელიც ახორციელებს გენერალური ინსპექტორის, იუსტიციის გენერალური ინსპექციის თავმჯდომარის, იუსტიციის გენერალური ინსპექტორის ან იუსტიციის ინსპექტორის ფუნქციებს იმ ვალდებულებების გათვალისწინებით, რომლებიც წარმოიშობა მისი იერარქიული დაქვემდებარებიდან.

მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშში<sup>42</sup> უფრო დეტალურად არის განმარტებული მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები, რომელთა საკანონმდებლო ბაზა ძალიან ბუნდოვანი და ზოგადია.

მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს ანგარიშში განმარტებულია, რომ 43-ე მუხლში ნახსენები, სახელმწიფოს წინაშე არსებული ვალდებულებების დარღვევა უკავშირდება მაგისტრატის ფიცისგან წარმოშობილ ვალდებულებებს<sup>43</sup>. ფიცს განმარტავს იმავე კანონის მე-10 მუხლი: „ვფიცავ, რომ კარგად და ერთგულად შევასრულებ ჩემს ვალდებულებებს, დავიცავ თათბირის საიდუმლოებას და ყოველთვის მოვიქცევი როგორც ღირსეული და ლოიალური მაგისტრი“. ამ პროფესიულ ვალდებულებებს ავსებს აგრეთვე მოსამართლის ფუნქციებთან შეუთავსებელი საქმიანობის დამდგენი, მათ შორის, არჩევით თანამდებობებზე

41

ხელმისაწვდომია:

[https://www.legislationline.org/download/id/6958/file/France\\_ordonnance\\_statut\\_de\\_la\\_magistrature\\_1958\\_am\\_2016\\_fr.pdf](https://www.legislationline.org/download/id/6958/file/France_ordonnance_statut_de_la_magistrature_1958_am_2016_fr.pdf)

42 მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო, 2019 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 75, ხელმისაწვდომია: <http://www.conseil-superieur-magistrature.fr/publications/rapports-annuels-dactivite>

43 მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო, 2019 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 75, ხელმისაწვდომია: <http://www.conseil-superieur-magistrature.fr/publications/rapports-annuels-dactivite>

საქმიანობის ამკრძალავი ნორმები (8-9 მუხლები) და თავშეკავების ვალდებულების დამდგენი ნორმები (რესპუბლიკური მმართველობის პრინციპებისა და ფორმის მიმართ ნებისმიერი მტრული დამოკიდებულების გამოვლენის, აგრეთვე ნებისმიერი პოლიტიკური შინაარსის გამოხატვის აკრძალვა, მუხლი 10)<sup>44</sup>.

მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო გადაცდომებს ტრადიციულად ხუთ ჯგუფში ანაწილებს და განასხვავებს:

- პატივის, დელიკატურობის და ღირსების შელახვა: მოსამართლის ფუნქციებთან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელება, სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება, სხვის საქმიანობაში ჩარევა, ზღვარგადასული გამოხატვა;
- მოსამართლის თანამდებობასთან დაკავშირებული ვალდებულებების დარღვევა: პროფესიული არაადეკვატურობა, საცხოვრებლის მოთხოვნების შეუსრულებლობა, მიუკერძოებლობის შელახვა;
- კეთილსინდისიერების ვალდებულების დარღვევები;
- შეუთავსებელ საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შეუსრულებლობა;
- თავშეკავების ვალდებულების შეუსრულებლობა<sup>45</sup>.

ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული რამდენიმე გადაწყვეტილება, რომელიც მეტად მოკფენს ნათელს თითოეული ვალდებულებისა და შესაბამისი გადაცდომების შინაარსს.

### *ბ. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები*

როგორც ზემოთ აღინიშნა, დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებით საფრანგეთის კანონმდებლობა ძალიან ლაკონიური და ზოგადია. შესაბამისად, ვალდებულებები, რომლებიც კანონშია გამოყოფილი, მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებში, კიდევ იშლება ქვევალდებულებებად, და პრაქტიკა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ვალდებულებების დარღვევების ჩამონათვალს იძლევა. ქვემოთ განხილული იქნება გადაწყვეტილებები იმის დემონსტრირებისთვის, როგორ განიმარტება და რას ნიშნავს ეს ვალდებულებები კონტექსტში.

ზოგადი განმარტებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ქვემოთ განხილული ხუთი გადაწყვეტილებიდან ოთხში (S236, S237, S238 და S239), განსხვავებული საკითხების და სადავო ქცევების მიუხედავად, დისციპლინური პასუხისმგებლობის სამართლებრივ საფუძვლად დასახელებულია მაგისტრატურის სტატუსის შესახებ 1958 წლის ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ფრაზა: „მაგისტრის მიერ პატივის, ღირსების, დელიკატურობისა და სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებების ნებისმიერი დარღვევა წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას“.

---

<sup>44</sup> იქვე.

<sup>45</sup> იქვე.



აქედან, ერთ საქმეში (S239) დამატებით მოყვანილი იყო 43-ე მუხლის მეორე პუნქტი, რომელიც მიუთითებს მოსამართლის მიერ მხარის არსებითი პროცესუალური გარანტიის დარღვევაზე. ამ ეტაპზე, მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ მოსამართლეებისთვის დაკისრებული ვალდებულებების ქვემოთ განხილული მრავალფეროვნება საბჭომ სწორედ პატივის, ღირსების, დელიკატურობის და, განსაკუთრებით, სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებებში ამოიკითხა.

[გადაწყვეტილება S239 <sup>46</sup>, 16/12/2020 – თავშეკავების, ლოიალურობისა და დელიკატურობის ვალდებულებების დარღვევა](#)

გამომძიებელ მოსამართლე X-ს დაევალა დისციპლინური საჩივრის ავტორ „დ“-ს წინააღმდეგ სამი საქმის გამოძიება. ის ასევე უძღვებოდა სამ სამოქალაქო საქმეს, სადაც „დ“ მხარე იყო. სამოქალაქო საქმის მოსმენის შემდეგ, პროკურორმა მოითხოვნა მოსამართლე X-ის საქმიდან ჩამოცილება იმ მიზეზით, რომ სხდომაზე მან გამოავლინა „მიუკერძოებლობის დაკარგვა“. პროკურორის მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

უკვე საქმიდან ჩამოცილებული, მოსამართლე X ტელეფონით ესაუბრა სამოქალაქო საქმის მეორე მხარეს, რაც ფარულად ჩაწერილი იქნა გამოძიების ფარგლებში. 2019 წელს, მოსამართლე X-ის წინააღმდეგ მიმდინარე დისციპლინური საქმის დოკუმენტები ვინმე “MX”-ის ანგარიშიდან გამოქვეყნდა ტვიტერზე. საჩივრის ავტორი „დ“ ამტკიცებდა, რომ მოსამართლე X-მა აღკვეთის ღონისძიების შემფარდებელ მოსამართლეს მცდარი ინფორმაცია მიაწოდა მის შესახებ, რომ ის ბრალდებული იყო სამ საქმეში; აგრეთვე, „მკვლელი“ უწოდა მას ინტეგრაციისა და პრობაციის სამსახურთან ურთიერთობისას. მისი მოწინააღმდეგე სამოქალაქო მხარე დაარწმუნა, რომ ის დამნაშავე იყო მის წინააღმდეგ აღძრულ საქმეში. დამატებით, ბრალდების მხარე ედავებოდა მოსამართლე X-ს, რომ მან დაარღვია მიუკერძოებლობისა და კეთილსინდისიერების ვალდებულებები, აჩვენა რა მიკერძოება ბრალდებულის წინააღმდეგ, განსაკუთრებით, სამოქალაქო საქმის მოსმენისას. მანვე დაარღვია თავშეკავების, ლოიალურობისა და დელიკატურობის ვალდებულებები, აგრეთვე შებღალა მართლმსაჯულების იმიჯი, გააკრიტიკა რა საგამომძიებო კოლეგიის, აგრეთვე პროკურატურის გადაწყვეტილებები სამოქალაქო მხარესთან სატელეფონო საუბრისას. მანვე, სამოქალაქო მხარესთან რამდენიმე დოკუმენტის განხილვით, დაარღვია კონფიდენციალურობისა და პროფესიული საიდუმლოს დაცვის ვალდებულება.

მიუკერძოებლობის ვალდებულების დარღვევასთან დაკავშირებით, მაგისტრატურის უმაღლესმა საბჭომ იმსჯელა იმ ფაქტზე, რომ მოსამართლე X-მა, ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნისას, საქმის განმხილველ მოსამართლეს მიაწოდა მცდარი ინფორმაცია, რომ მის წინააღმდეგ სამი საქმე მიმდინარეობდა მკვლელობის ბრალდებით. თავად მოსამართლე X ამტკიცებდა, რომ ეს იყო არა მიკერძოების,

<sup>46</sup> ხელმისაწვდომია (ფრანგულ ენაზე): <http://www.conseil-superieur-magistrature.fr/missions/discipline/s239>

არამედ შეცდომის ბრალი, რადგან „დ“ დროებითი მოწმის (assisted witness) [მოწმე, რომლის წინააღმდეგაც არსებობს დანაშაულის ჩადენის მტკიცებულება] სტატუსით მონაწილეობდა კიდევ ორ საქმეში. საბჭომ მიიჩნია, რომ მცდარი ინფორმაცია, რომელიც ასახული იყო სასამართლოს აქტში და, როგორც ჩანს, არსებითი შეცდომის ბრალი იყო, არ წარმოადგენდა იმგვარი პროცესუალური წესის განზრახ და მძიმე დარღვევას, რომელიც მხარის უფლებების არსებით გარანტიას წარმოადგენს. შესაბამისად, ის ვერ შეერაცხებოდა მოსამართლე X-ს ბრალად, რაც [1958 წლის ორგანული კანონის] 43-ე მუხლით პასუხისმგებლობისთვის არსებითი მოთხოვნაა.

თავშეკავების, ლოიალურობისა და დელიკატურობის ვალდებულებების დარღვევასთან დაკავშირებით, საბჭომ აღნიშნა: „თავშეკავების ვალდებულება, უპირველეს ყოვლისა, მოსამართლისგან მოითხოვს, არ დააკნინოს თავისი კოლეგების სასამართლო გადაწყვეტილებები – მათზე დავისთვის სამართლებრივი საშუალებები არსებობს. მეორე მხრივ, ლოიალურობის ვალდებულება მოსამართლისგან მოითხოვს კოლეგებსა და საგამომიებო სამსახურებთან ლოიალური პროფესიული ურთიერთობების შენარჩუნებას სასამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას, რაც ნიშნავს თითოეული მოვალეობისა და უნარის პატივისცემას. ბოლოს, დელიკატურობის ვალდებულება მოითხოვს მოსამართლისგან პატივისცემაზე დაფუძნებულ ქცევას სხვების მიმართ, მოსმენას, ტაქტიან და გააზრებულ დამოკიდებულებას ყველა სიტუაციაში, მოუთმენლობისა და მტრობის გამოვლინებების გარეშე“.

საბჭომ მიიჩნია, რომ მოსამართლე X-ის კოლეგებთან დაპირისპირების რამდენიმე ფაქტი არ დასტურდებოდა და, შესაბამისად, ისინი არ შეაფასა ზემოხსენებულ ვალდებულებებთან მიმართებით. თუმცა იმსჯელა იმ შემთხვევაზე, როდესაც მოსამართლე X-მა რეგიონის ჟანდარმერიის ხელმძღვანელობას გაუგზავნა წერილი, რომ „დ“-ს წინააღმდეგ საქმის გამოძიება რთულად მიმდინარეობდა და მის საქმეს სხვებისგან განსხვავებულად ეპყრობოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობისთვის მიწერამდე, მოსამართლე X-მა არ განიხილა პრობლემები ადგილობრივ გამომძიებლებთან, საბჭომ მიიჩნია, რომ ეს შემთხვევა უფრო მოსამართლის მოუქნელობაზე მიუთითებდა, ვიდრე ლოიალურობისა და დელიკატურობის ვალდებულების დარღვევაზე. შესაბამისად, ამ ნაწილში ბრალდება უარყო.

მომდევნო შესაფასებელი ეპიზოდი ამ ნაწილში იყო მოსამართლე X-ის სატელეფონო საუბარი სამოქალაქო საქმის მხარესთან, რომელიც დაექვემდებარა ფარულ მიყურადებას. აღნიშნული საუბრის ჩანაწერის თანახმად, მოსამართლემ გააკრიტიკა პროკურორის, ასევე საგამომიებო ორგანოების გადაწყვეტილებები და მიუთითა გაუმართაობაზე სასამართლოს შიგნით. მან თქვა, რომ ის იყო „ინფორმატორი... რომელსაც უნდოდა, ძალიან მოკრძალებული ოპერაცია თავისი ხელით ჩაეტარებინა“; მიუთითა მართლმსაჯულების ხარვეზზე, რომელიც „დ“-ს თავის დაღწევის საშუალებას მისცემდა; აღნიშნა, რომ პროკურატურამ დიდი ხანია

ყველაფერი იცოდა, მაგრამ მალავდა, შიშის, სისუსტის, სიმდაბლისა და დაკნინებულობის გამო. მოსამართლე X თავის გასამართებლად, ერთი მხრივ, მიუთითებდა ამ სატელეფონო საუბრის მიყურადების პროცესუალურ გაუმართაობაზე, მეორე მხრივ კი, ეჭვქვეშ აყენებდა ჩანაწერის შინაარსის სისწორეს, რადგან ელექტრონული ჩანაწერის ნაცვლად, წერილობით იყო გადმოცემული.

საბჭომ აღნიშნა, რომ ის, როგორც დისციპლინური ორგანო, ვერ შეაფასებდა, სასამართლო აქტი სწორად იყო თუ არა მიღებული [იგულისხმება მიყურადებაზე სასამართლოს ნებართვა], თუმცა მისი საქმე იყო, მეორე მხრივ, იმ მტკიცებულებების კანონიერების შეფასება, რომელიც ამყარებდა დისციპლინურ ბრალდებას და რომელსაც ეჭვქვეშ აყენებდა შესაბამისი მოსამართლე. „ამ საქმეში წარმოდგენილი იქნა დოკუმენტი, როგორც მიყურადების ჩანაწერი, რომელსაც არ აქვს ოქმის სახე, არ მიუთითებს სასამართლო პოლიციის ოფიცრის ვინაობაზე, ვინც შეადგინა სატელეფონო საუბრის ჩანაწერი. ამგვარი ფორმალობა მოითხოვება იმისთვის, რომ დოკუმენტს ძალა ჰქონდეს. ამ პირობების დაუკმაყოფილებლად, მას ვერ ექნება მტკიცებულებითი ძალა“. შესაბამისად, საბჭომ ეს მტკიცებულება არ მიიღო და ბრალდება უარყო.

რაც შეეხება კონფიდენციალურობის დაცვის მოვალეობის, პროფესიული საიდუმლოს დარღვევას და მართლმსაჯულების იმიჯის შელახვას, საბჭომ აღნიშნა: „მოსამართლე შებოჭილია პროფესიული საიდუმლოებით, ის პატივს სცემს მასზე დაწერილი საქმის კონფიდენციალურობას. ის არ ამჟღავნებს ინფორმაციას, რომელიც მისთვის გახდა ცნობილი“. ამ ნაწილშიც მოსამართლე X-ის ბრალდება ეფუძნებოდა ზემოაღწერილ საუბარს სამოქალაქო მხარესთან. საბჭომ აღნიშნა: „რომ დამტკიცებულიყო, ამგვარი ქცევა ჩაითვლებოდა კონფიდენციალურობისა და პროფესიული საიდუმლოს დარღვევად, რომელთა დაცვაც ყველა მოსამართლეს ევალება, ისევე როგორც მართლმსაჯულების იმიჯის შებლაღვად, რომელიც სავარაუდოდ შეამცირებდა მისდამი ნდობას“. თუმცა, ამ შემთხვევაში, რადგან მტკიცებულება – ჩანაწერი – საბჭომ არ მიიღო, ეს ბრალდებაც დაუსაბუთებელი აღმოჩნდა.

ბოლოს, საბჭომ იმსჯელა საჯარო გამოხატვისას კორექტულობის მოვალეობის (duty of discretion) დარღვევასთან დაკავშირებით. ამ ნაწილში ბრალდება ეფუძნებოდა იმის მტკიცებას, რომ მოსამართლემ ტვიტერზე ანგარიშის გახსნით და დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში მოსამართლეების, ადვოკატებისა და მათი თანაშემწეების მიერ მომზადებული დოკუმენტების გამოქვეყნებით, ზიანი მიაყენა მართლმსაჯულების იმიჯს.

საბჭომ აღნიშნა, რომ „მოსამართლეს, ისევე როგორც ნებისმიერ მოქალაქეს, აქვს გამოხატვის თავისუფლება იმ ფარგლებში, რაც განისაზღვრება მისი ფიცის პატივისცემით, განსაკუთრებით კი, საიდუმლოების მოვალეობის და იმის გათვალისწინებით, როგორ აისახება მისი ქცევა მართლმსაჯულების იმიჯზე“.

საბჭომ მიუთითა, რომ თუ დამტკიცდებოდა მოსამართლის მიერ სოციალურ ქსელში დისციპლინური სამართალწარმოების დოკუმენტების გამოქვეყნება, ეს მართლაც იქნებოდა კორექტულობის ვალდებულების დარღვევა. და ის ფაქტი, რომ ეს დოკუმენტები მოყვანილი იქნა საჯარო სხდომა ვერ გაამართლებდა a posteriori ჩვენებების გასაჯაროებას, რომელთა შინაარსი სავარაუდოდ კითხვებს გააჩენდა მართლმსაჯულების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით და ჩრდილს მიაყენებდა მის იმიჯს. თუმცა, საბჭომ გაითვალისწინა, რომ მოსამართლე X მის მიერ ამ ინფორმაციის გასაჯაროებას უარყოფდა, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი სქრინშოტები კი არ ადასტურებდა, რომ გამოქვეყნების უკან ნამდვილად მოსამართლე X იდგა. შესაბამისად, ბრალდება ამ ნაწილშიც არ ჩაითვალა დადასტურებულად.

[გადაწყვეტილება S237<sup>47</sup>, 07/22/2020 – მიუკერძოებლობის და ლოიალურობის ვალდებულების დარღვევა](#)

მოსამართლე X დაინიშნა სააპელაციო სასამართლოში შექმნილი საგამომიებო პალატის თავმჯდომარედ 2017 წელს. 2011 წლიდან მას ჰქონდა ფარული ინტიმური ურთიერთობა რეგიონული საბჭოს თავმჯდომარესთან, რომლის წინააღმდეგაც გარკვეული მტკიცებულებები არსებობდა „ფიქტიური სამსახურების“ სახელით ცნობილ სქემასთან დაკავშირებულ საქმეში. 2018 წელს მოსამართლე X-ის თავმჯდომარეობით განხილული იქნა რეგიონული საბჭოს მომსახურებათა განყოფილების დირექტორისთვის დროებითი მოწმის [რომლის წინააღმდეგაც არსებობს მტკიცებულებები] სტატუსის მინიჭების საკითხი. 2019 წელს, საქმის შემსწავლელმა კომისიამ გამოავლინა მოსამართლესა და რეგიონული საბჭოს დირექტორს შორის 2018-2019 წლებში აქტიური მიმოწერის ფაქტი.

კეთილგონიერებისა და ლოიალურობის ვალდებულების დარღვევასთან დაკავშირებით, საბჭომ გაითვალისწინა, რომ მოსამართლე X-მა 2019 წელს უხელმძღვანელა რეგიონული საბჭოს მომსახურებათა განყოფილების დირექტორის შუამდგომლობის განხილვას ისე, რომ სასამართლოს თავმჯდომარის, ასევე მისივე საგამომიებო კოლეგიის დანარჩენი ორი მოსამართლისთვის არ უცნობებია თავისი საიდუმლო ურთიერთობის შესახებ. თავად მოსამართლე X-მა აღნიშნა, რომ ამ საკითხზე თვითონაც იფიქრა, მაგრამ ჩათვალა, რომ მისი საიდუმლო ხასიათის გამო ამაზე ვერ ისაუბრებდა. აგრეთვე, თავი საკმარისად გამოცდილად და მიუკერძოებლად მიიჩნია საიმისოდ, რომ საქმეში მონაწილეობა გაეგრძელებინა. მან აღნიშნა, რომ დანარჩენ ორ მოსამართლეს უთხრა, რომ რეგიონული საბჭოს თავმჯდომარე მისი კარგი მეგობარი იყო.

საბჭომ მიუთითა, რომ მოსამართლე X იმყოფებოდა ხანგრძლივ, სტაბილურ და სენტიმენტალურ ურთიერთობაში ადგილობრივ პოლიტიკოსთან. შეუძლებელი იყო, მას არ სცოდნოდა იმ რისკის შესახებ, რომ შესაბამისი რეგიონის სააპელაციო

---

<sup>47</sup> ხელმისაწვდომია (ფრანგულ ენაზე): <http://www.conseil-superieur-magistrature.fr/missions/discipline/s237>

სასამართლოში (რომელიც პატარა სასამართლო იყო) საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარედ დანიშნულს, რეგიონული საბჭოს თავმჯდომარის საქმის განხილვა მოუწევდა. იმაზეც უნდა ეფიქრა, რომ მათი ურთიერთობა ნებისმიერ მომენტში შეიძლება გამჟღავნებულიყო.

ამ ელემენტების და იმის გათვალისწინებით, რომ მან მონაწილეობა მიიღო რეგიონული საბჭოს თანამშრომლის საქმის განხილვაში, საბჭო მიიჩნევს, რომ მოსამართლე X-ს პოლიტიკოსთან თავისი ახლო ურთიერთობის თაობაზე უნდა ეცნობებინა სასამართლოს თავმჯდომარისთვის ეთიკის ინტერვიუს დროს ან ნებისმიერ სხვა მომენტში აღნიშნულ სხდომამდე. მაშინ სასამართლოს თავმჯდომარე შეძლებდა მის აცილებას იმ საქმიდან, რომელშიც რეგიონული საბჭოს თავმჯდომარე დროებითი მოწმის სტატუსით იყო ჩართული, რაც აბსოლუტურად აუცილებელი იყო. უმოქმედობით მოსამართლე X-მა დაარღვია სასამართლოს თავმჯდომარის მიმართ ლოიალურობისა და კეთილგონიერების ვალდებულება.

აგრეთვე, საგამომიებო კოლეგიის წევრი სხვა მოსამართლეებისთვის პოლიტიკოსთან თავისი ურთიერთობის ხასიათის გაუმჟღავნებლობით, მან არ მისცა მათ შესაძლებლობა, სრულად შეეფასებინათ საგამომიებო კოლეგიის მიუკერძოებლობის საკითხი და მათ მიმართაც დაარღვია ლოიალურობის ვალდებულება.

მიუკერძოებლობის ვალდებულების დარღვევასთან დაკავშირებით, საბჭომ აღნიშნა: „**მიუკერძოებლობის პრინციპი მოსამართლისგან მოითხოვს აცილებას ან თვითაცილებას, თუ აღმოჩნდება, რომ მას აქვს კავშირი მხარესთან, მის ადვოკატთან, ექსპერტთან ან აქვს რაიმე ინტერესი, რომელიც, სავარაუდოდ, ლეგიტიმურ ეჭვს გააჩენს მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით**“.

თავის გასამართლებლად, მოსამართლე X-მა აღნიშნა, რომ აიცილებდა საქმეს, ურთიერთობა საიდუმლო რომ არ ყოფილიყო და აღიარა, რომ შეფასებისას ამ მხრივ შეცდომა დაუშვა. აგრეთვე, მისი მტკიცებით, რეგიონული საბჭოს მომსახურებათა განყოფილების უფროსის საქმის განხილვაში მონაწილეობა არ უქმნიდა საფრთხეს მის მიუკერძოებას, რადგან ამ პირისა და რეგიონული საბჭოს თავმჯდომარის სამართლებრივი მდგომარეობა ერთმანეთისგან დამოუკიდებელი იყო.

საბჭომ აღნიშნული არგუმენტი არ გაიზიარა და მიუთითა, რომ საგამომიებო კოლეგიის ერთ-ერთმა სხვა წევრმა მომსახურებათა განყოფილების უფროსის საქმე სწორედ იმიტომ აიცილა, რომ მისი ქმარი რეგიონული საბჭოს თავმჯდომარის [მოსამართლის პარტნიორის] დამხმარე იყო, – რასაც უნდა მიენიშნებინა მოსამართლე X-ისთვის, რომ თვითონაც უნდა მოეხდინა აცილება. გარდა ამის, თავად ის ფაქტი, რომ საქმე განიხილებოდა რეგიონული საბჭოს მომსახურებათა განყოფილების უფროსის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე და მოსამართლის პარტნიორი ამ დროს ამავე საბჭოს თავმჯდომარე იყო, კმარა იმის დემონსტრირებისთვის, რომ ამ ორი პირის სამართლებრივი მდგომარეობა საკმაოდ მჭიდროდ იყო ურთიერთდაკავშირებული. შესაბამისად, ამ საქმის აცილებაზე უარით, მოსამართლე X-მა დაარღვია ობიექტური მიუკერძოებლობის ვალდებულება.

დამატებით, როდესაც 2018 წელს გამომძიებელმა მოსამართლემ შეატყობინა მოსამართლე X-ს, რომ შეიძლებოდა რეგიონული საბჭოს თავმჯდომარისთვის ბრალი წარედგინათ, მოსამართლე X-მა უპასუხა, პოლიტიკოსი „პატიოსანი კაციაო“, რითაც, საბჭოს აზრით, აგრეთვე დაარღვია სუბიექტური მიუკერძოებლობის მოვალეობა. საბჭომ ასევე აღნიშნა, რომ ურთიერთობის საიდუმლო ხასიათი მიუკერძოებლობის მოვალეობას ვერ გამოირიცხავს.

**გადაწყვეტილება S236<sup>48</sup>, 07/09/2020 – ღირსების, პატივისა და სახელმწიფოს წინაშე ვალდებულების დარღვევა**

მოსამართლემ ჩაიდინა ძალადობა ცოლის წინააღმდეგ არასრულწლოვანი ბავშვების თანდასწრებით. მისი ძალადობრივი ქცევის გამო, მასთან სახლში შუალამით მივიდა პოლიცია, ცოლი საავადმყოფოში გადაიყვანეს, ის კი დააპატიმრეს. სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო განზრახ ძალადობაში და მიუსაჯა სამი თვით თავისუფლების აღკვეთა პირობით. პარალელურად, დისციპლინური საქმისწარმოების ფარგლებში, მას ბრალი ედებოდა ღირსების, პატივისა და სახელმწიფოს წინაშე არსებული ვალდებულებების დარღვევაში. იუსტიციის სამინისტრო [ბრალდების მხარე] აგრეთვე აღნიშნავდა, რომ მისი ქცევა ძირს უთხრიდა მოსამართლის ფუნქციისადმი ნდობას და პატივისცემას, რომელსაც მოსამართლე საქმის მხარეებში უნდა იწვევდეს და, ამდენად, აკნინებდა სასამართლო ინსტიტუტების ავტორიტეტსა და იმიჯს.

საბჭომ პრეიუდიციული ძალა მიანიჭა სისხლის სამართლის განაჩენში მოყვანილ ფაქტებს და გადავიდა მათ შეფასებაზე დისციპლინური სამართალწარმოების მიზნებისთვის. „ეს ფაქტები წარმოადგენს პატივის შელახვას და შეუთავსებელია ღირსების მოთხოვნასთან, რომელიც მოსამართლეს ყოველთვის ეკისრება. მან უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოს წინაშე არსებული მოვალეობების შესრულება, მათ შორის, პირად ცხოვრებაშიც“. მოსამართლე თავის მართლებისთვის აღნიშნავდა, რომ არ დავობდა ფაქტებთან დაკავშირებით, თუმცა მათი ნაწილი გაზვიადებული იყო მისი ცოლის მიერ, რაც გაითვალისწინა კიდევ სააპელაციო სასამართლომ. მოსამართლემ აგრეთვე აღიარა, რომ მისი მსჯავრდება ოჯახში ძალადობის დანაშაულისთვის, ურთულებდა გარკვეული ფუნქციების შესრულებას, როგორცაა გამასწორებელი სხდომების ჩატარება, მოსამართლეობა საოჯახო საქმეებზე და სასჯელის განსაზღვრა.

საბჭომ აღნიშნა, რომ მოსამართლის მიერ ჩადენილმა ძალადობამ გამოიწვია პოლიციის ჩარევა, მისი დაპატიმრება და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება. მისი სასამართლოს მოსამართლეები და თანამშრომლები ინფორმირებული იყვნენ ამ მოვლენების შესახებ. დამატებით, ორი სტატია გამოქვეყნდა ადგილობრივ პრესაში სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ მისი გამტყუნების თაობაზე. საბჭომ აღნიშნა, რომ პატიმრობამ, რომელსაც მოჰყვა რამდენიმე პუბლიკაცია პრესაში,

<sup>48</sup> ხელმისაწვდომია (ფრანგულ ენაზე): <http://www.conseil-superieur-magistrature.fr/missions/discipline/s236>

გარდაუვლად დააზიანა მოსამართლის ფუნქციისადმი პატივისცემა და ნდობა, რომელსაც ის უნდა იწვევდეს დავის მხარეებში და, შესაბამისად, სასამართლო ინსტიტუტის იმიჯი და რეპუტაცია.

როგორც უნდა ყოფილიყო მოსამართლის პროფესიული ღირსებები, ჩადენილი დარღვევების გამო ის ჩამოაქვეითეს სასამართლოს ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობიდან. აგრეთვე, იმავე იურისდიქციაში პროფესიული საქმიანობის გაგრძელების შეუძლებლობის გამო, ის სხვა სასამართლოში გადაიყვანეს.

[გადაწყვეტილება S206<sup>49</sup>, 02/27/2013 – კანონის გულისხმიერად აღსრულების ვალდებულების, როგორც სახელმწიფოს წინაშე ვალდებულების დარღვევა](#)

მოსამართლეს ბრალი ედებოდა გადაწყვეტილებების პროექტების მომზადების სისტემატურ დაგვიანებაში, ხელმძღვანელობისგან მთელი რიგი გაფრთხილებების მიუხედავად, მხარეებისა და კანცელარიისთვის სხდომების თარიღების შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობასა და სხდომაზე შეუფერებელ ქცევაში. დაგვიანება და საქმის გადაწყვეტის ვადების გაგრძელება მოსამართლემ დანიშნისთანავე დაიწყო. როგორც ინსპექტორმა მოკვლევის შედეგად დაადგინა, 2006 წელს მასზე დაწერილი 92 საქმიდან 71% შემთხვევაში არსებითი განხილვის ვადა გახანგრძლივდა. ამ მაჩვენებელმა 90%-ს მიაღწია 2007 და 2009 წლებში. მოსამართლე არაერთხელ გააფრთხილეს მის წინააღმდეგ არსებული საჩივრების და იმ პროგრესის შესახებ, რომელიც უნდა ჰქონოდა განსახილველ საქმეებთან დაკავშირებით. აგრეთვე, რამდენჯერმე მთელი წლით გაათავისუფლეს ახალი საქმეების აღების ვალდებულებისგან, რათა მოეხერხებინა დაგროვილი საქმეების დასრულება.

მოსამართლემ აღიარა დაგვიანებების პრობლემა, მაგრამ აგრეთვე აღნიშნა, რომ ყოველთვის ხელმისაწვდომი იყო სხვა მოსამართლეების ჩასანაცვლებლად საჭიროების არსებობისას. საბჭომ გაითვალისწინა, რომ მოსამართლე მართლაც იყო ხელმისაწვდომი პროფესიულად, სამსახურში ძალიან დიდ დროს ატარებდა, ამავე დროს, მისი შეფასებები აჩვენებდა როგორც მისი სამართლებრივი ცოდნის სიზუსტესა და სიღრმეს, ისევე კარგ წერით უნარებს. ამის მიუხედავად, მოსამართლეს ჰქონდა ნაკლოვანებები, რომელიც თან სდევდა მის მიერ უფლებამოსილების შესრულებას, რაც საქმის ორგანიზების სიმძლავრის და გადაწყვეტის სულისკვეთების ნაკლებობის შედეგი იყო.

ამასთან, მოსამართლე არ ითვალისწინებდა, რომ კანცელარიას დრო სჭირდებოდა გადაწყვეტილებების დაფორმატებისათვის მათ გამოქვეყნებამდე, და რომ შეთანხმების, თანახმად, გადაწყვეტილებების პროექტები გამოცხადებამდე 8 დღით ადრე უნდა ჩაბარებოდა სასამართლოს. ორგანიზებულობის ამგვარი ხარვეზი

<sup>49</sup> ხელმისაწვდომია <http://www.conseil-superieur-magistrature.fr/missions/discipline/s206>

(ფრანგულ ენაზე):

<http://www.conseil-superieur-magistrature.fr/missions/discipline/s206>

სასამართლოს ნორმალურ ფუნქციონირებას ხელს უშლიდა. ამასთან, მომკვლევმა დაადგინა, რომ მოსამართლეს არ ჰქონდა რაიმე განსაკუთრებული დატვირთვა.

საბჭომ მიუთითა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 450-ე მუხლი მოსამართლისგან მოითხოვდა, გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღის გადაწევის შემთხვევაში, მხარეებისთვის ეცნობებინა გადაწევის მიზეზები და აგრეთვე გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი. ამ მოთხოვნის უგულვებელყოფით, მოსამართლე არასდროს არ განსაზღვრავდა გადაწყვეტილების გამოცხადების ახალ თარიღს. როგორც მან მიუთითა, როცა კანცელარია აღმოაჩენდა, რომ გადაწყვეტილება დათქმულ დროს არ ცხადდებოდა, თავადვე აგრძელებდა ხოლმე ვადას 15 დღით. კლერკმაც დაადასტურა, რომ მოსამართლე არასდროს განსაზღვრავდა გადაწყვეტილების გამოცხადების ახალ თარიღს. საბჭომ ჩათვალა, რომ ეს იყო დელიკატურობის ვალდებულების დარღვევა, როგორც საქმის მხარეების მიმართ ისეთ სენსიტიურ სფეროში, როგორც საოჯახო საქმეებია, ისევე სასამართლოს თანამშრომლების მიმართ, რომლებიც იმყოფებოდნენ საპროცესო კოდექსით დადგენილისგან საპირისპირო მდგომარეობაში და არ შეეძლოთ პასუხი გაეცათ მოსარჩელებისა და მათი ადვოკატების ლეგიტიმურ კითხვებზე.

საბჭომ დაადგინა, რომ საქმის მხარეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მიმართ დელიკატურობის მოვალეობის და კანონის გულისხმიერად აღსრულების ვალდებულებების დარღვევა წარმოადგენდა სახელმწიფოს წინაშე მოსამართლის ვალდებულებების დარღვევას და აკნინებდა მართლმსაჯულების მიმართ ნდობას. ამდენად, ეს იყო დისციპლინური გადაცდომა, რისთვისაც მოსამართლე გათავისუფლდა თანამდებობიდან და აეკრძალა 5 წლის განმავლობაში მოსამართლის თანამდებობის დაკავება.

[გადაწყვეტილება S238<sup>50</sup>, 14/10/2020 – პროფესიული მონდომების, ეფექტიანობის, გულისხმიერების და კომპეტენციის, პროფესიული პასუხისმგებლობისა და პროფესიული სინდისიერების, ასევე მოსამართლის დამოუკიდებლობის დარღვევა](#)

მოსამართლე X 2017 წელს დაინიშნა სასამართლოს თავმჯდომარედ და მაშინვე გაჩნდა პრობლემები მისი უფლებამოსილების შესრულებასთან დაკავშირებით. როდესაც ის იღებდა თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს, მოხდა სამი ინციდენტი: პატიმრობის შესახებ ბრძანებაში დაუშვა შეცდომა, გაახანგრძლივა უკანონო პატიმრობა და სამსახური პირადი მიზეზების გამო დატოვა, მიუხედავად იმისა, რომ დილიდან იცოდა, რომ ბრალდებულისთვის თავისუფლების აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიეღო. დამატებით, პრობლემები არსებობდა მის მიერ სასამართლოს თავმჯდომარის ფუნქციების განხორციელების კუთხითაც, რადგან შესაბამის რაიონულ სასამართლოში სიტუაცია ძალიან გაუარესდა. ამის შედეგად ურთიერთობა რაიონის ყოფილ საჯარო პროკურორთან ისე დაიძაბა, რომ მათ შორის დიარქიული დიალოგი აღარ

<sup>50</sup> ხელმისაწვდომია (ფრანგულ ენაზე): <http://www.conseil-superieur-magistrature.fr/missions/discipline/s238>



არსებობდა. მოსამართლე X-ს ურთიერთობა გაუფუჭდა სასამართლო საკანცელარიო სამსახურის დირექტორთანაც. დამატებით, საბაჟო შემოწმებისას ცეცხლსასროლი იარაღის აღმოჩენის გამო, გამოკვლევის საგანი გახდა მისი პირადი ცხოვრებაც.

პროფესიული მონდომების, ეფექტიანობის, გულისხმიერების და კომპეტენციის, პროფესიული პასუხისმგებლობისა და პროფესიული სინდისიერების დარღვევა შეაფასა საბჭომ მისი სამოქალაქო საქმეებზე, აღკვეთის ღონისძიებებზე მუშაობის და სასამართლოს თავმჯდომარეობის კონტექსტში.

აღკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებით, პირველი ინციდენტის დროს, მოსამართლემ არასწორი სასამართლო აქტის ფორმა გამოიყენა, რაც დროზე რომ არ გასწორებულიყო, პატიმრობიდან პირის გათავისუფლებას გამოიწვევდა. მოსამართლემ აღნიშნა, რომ ეს კომპიუტერული პროგრამის შეცდომა იყო, რომელიც მის თანაშემწეს გაეპარა. საბჭომ მიუთითა, რომ სხვა მტკიცებულებებიც ადასტურებდა, რომ მოსამართლე არ ამოწმებდა თავისი თანაშემწის მომზადებულ დოკუმენტს, თუმცა მისი მოვალეობა იყო, განსაკუთრებული სიფრთხილით შეემოწმებინა თავისუფლების აღკვეთის დოკუმენტები ხელისმოწერამდე და პროგრამული გაუმართაობა ვერ შეამსუბუქებდა მისი სიფრთხილის მოვალეობას, განსაკუთრებით, ადამიანის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საქმეში.

მეორე ინციდენტი ეხებოდა აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვასთან დაკავშირებულ სხდომას, რომელიც 8 დეკემბერს ჩაინიშნა და მოსამართლემ მხარის ადვოკატს 4 დეკემბერს გაუგზავნა უწყება, მიუხედავად იმისა, რომ კანცელარიამ გააფრთხილა უწყებისა და სხდომის თარიღს შორის ძალიან მოკლე ვადის შესახებ. ადვოკატი სხდომაზე არ გამოცხადდა, მაგრამ მოსამართლემ აღკვეთის ღონისძიების ვადა მაინც გაახანგრძლივა. ზემდგომმა ინსტანციამ აღნიშნული გადაწყვეტილება ძალადაკარგულად ცნო, რადგან უწყებასა და სხდომას შორის არასაკმარისი დრო იყო. საბჭომ მიუთითა, რომ პირველი ინციდენტის შემდეგ მოსამართლეს მართებდა, გაეორმაგებინა სიფრთხილე აღკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებულ საქმეში და უზრუნველყო უწყებების პატივისცემა. ადვოკატის გამოუცხადებლობას უნდა მიენიშნებინა, რომ საქმე რთული და სენსიტიური იყო.

ბოლო ინციდენტი ეხებოდა დამამძიმებელ გარემოებებში სიცოცხლის მოსპობისთვის ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებას. მოსამართლემ დილიდანვე იცოდა, რომ ეს საქმე უნდა გადაეწყვიტა, მაგრამ შემცვლელი ვერ იპოვა და სასამართლო პირადი საკითხების მოსაგვარებლად დატოვა. პროკურორს შეეშინდა, რომ დაკავების ვადას დაარღვევდა და ბრალდებული გაათავისუფლა.

საბჭომ მიუთითა, რომ მართალია, მოსამართლე პირადი საკითხების გამო წნეხის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ ამ პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებლობა მას ეკისრებოდა. მან არ გაითვალისწინა, რა სირთულეები მოჰყვებოდა სამსახურის დატოვებას, რის შესახებაც თავად მიიღო გადაწყვეტილება სასამართლოში ყოველგვარი კონსულტაციის გარეშე, სხვა პირებთან ან სამართალწარმოების ბედთან დაკავშირებით. ამან სასამართლოში მნიშვნელოვანი გაუმართაობა გამოიწვია.

სამოსამართლო საქმიანობასთან დაკავშირებულ ამ სამ შემთხვევაში მოსამართლემ ვერ შეძლო პროფესიული მონდომებისა და კომპეტენციის ვალდებულებების შესრულება, როგორც ამას მოითხოვდა პროფესიული პასუხისმგებლობა და პროფესიული სინდისი, განსაკუთრებით, როდესაც ეს ვალდებულებები ეკისრება სასამართლოში ყველაზე მაღალი თანამდებობის მქონე პირს.

შემდეგი საკითხი იყო მოსამართლის ქცევა სამოქალაქო საქმეების განხილვისას, სადაც მას აგრეთვე ედებოდა ბრალი პროფესიული მონდომებისა და პროფესიული სინდისის მოვალეობის, პასუხისმგებლობის გრძნობის და ეფექტიანობისა და გულისხმიერების ვალდებულებების დარღვევაში. აღნიშნული ბრალდება, ერთი მხრივ, გამომდინარეობდა იქიდან, რომ მოსამართლემ სხვა, ახალბედა მოსამართლეს სთხოვა გადაწყვეტილებების მომზადება იმ საქმეებზე, რომელთა განხილვასაც ეს უკანასკნელი არ დასწრებია; და ეს გადატვირთვით გაამართლა.

საბჭოს პასუხი აღნიშნულ არგუმენტზე შემდეგი იყო: „ამგვარი განმარტება, რომელიც მოვლენის მასშტაბს რეალურად არ აღიქვამს, მიუთითებს ეთიკური ნიშნულების დაკარგვაზე მოსამართლე X-ის მხრიდან, რომელმაც მოსამართლის ის ელემენტარული მოვალეობაც კი ვერ შეასრულა, რომ გადაწყვეტილება მის წინაშე გამართულ, მხარეთა ზეპირი პაექრობისას გამოთქმულ არგუმენტებზე დაეფუძნებინა. სასამართლოს თავმჯდომარისგან გამოუცდელი მოსამართლისთვის ამის თხოვნა წარმოადგენს პროფესიული პასუხისმგებლობის არსის დარღვევას, რომელიც ყველა მოსამართლეს ეკისრება და, მით უფრო, სასამართლოს თავმჯდომარეს“.

მოსამართლემ მიუთითა, რომ 2017 წელს ძალიან დატვირთული იყო და ტრენინგებზე დასწრების გამო ვერ ახერხებდა საქმეების დროულად გადაწყვეტას. თუმცა, საბჭომ, ინსპექტორის მოკვლევაზე დარდენობით, საქმეების გადაწყვეტის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გაჭიანურებები აღმოაჩინა 2017 წლის მეორე ნახევრიდან 2019 წლის ბოლომდე.

„ეს ხარვეზები სამოქალაქო სამართალწარმოებაში, რომელიც დიდხანს გაგრძელდა და საქმეების დიდ ნაწილს შეეხო, კიდევ უფრო დამაზიანებელია, რადგან მან გავლენა მოახდინა ... [შესაბამის რეგიონში] მართლმსაჯულების საჯარო სერვისზე დავის მხარეების საზიანოდ, რომლებსაც უჭიანურდებოდათ გადაწყვეტილების გამოცხადება. ... ეს წარმოადგენს გადაცდომას 1958 წლის საკანონმდებლო ბრძანებულების 43-ე მუხლის მიზნებისთვის და მისი პროფესიული მონდომების და პროფესიული სინდისის ვალდებულებების დარღვევას, რაც მისთვის მინდობილი სამართალწარმოების ფარგლებში უნდა იქნეს გაგებული როგორც ეფექტიანობის და გულისხმიერების ვალდებულება“.

შემდეგი საკითხი იყო არარეგულარული სამუშაო საათები, კოლეგებისადმი ხშირი მიმართვა ჩანაცვლების თხოვნით და სხდომებზე რეგულარული დაგვიანება. ამ ნაწილში საბჭომ არ დაადგინა დარღვევა შემდეგი მიზეზით: „ზოგიერთი დოკუმენტი, რაც წარმოდგენილი იქნა, მიუთითებს სხდომაზე დაგვიანებებსა და

არარეგულარულ სამუშაო საათებზე, თუმცა წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისად არ ემთხვევა ერთმანეთს და აკლიათ დასაბუთება, შესაბამისად, ვერ დამტკიცდა, რომ მოსამართლე X-ის დამოკიდებულება ხელს უშლიდა სასამართლოს გამართულ ფუნქციონირებას. ამასთან, პროცესში გამოიკვეთა, რომ მოსამართლე უკიდურესად ხშირად ჩაანაცვლა სხვა მოსამართლემ 2018 წელს – მისი სამოქალაქო სამართლის საქმეების დაახლოებით ერთი მესამედის შემთხვევაში, რაც მისი მთელი სამოსამართლო საქმიანობის ერთი მეოთხედის ეკვივალენტია. ამისდა მიუხედავად, საბჭო მიუთითებს პოზიტიურ განვითარებაზე 2019 წელს. რაც მთავარია, მომსახურების გაწევისას წყვეტა არ ყოფილა“.

მოსამართლის დამოუკიდებლობის შელახვასა და დელიკატურობის ვალდებულების დარღვევაზე წარიმართა მსჯელობა იმ ინციდენტის კონტექსტში, როცა მოსამართლე X, რომელიც იმ დროს აღკვეთის ღონისძიებებზე იღებდა გადაწყვეტილებას, მივიდა სხვა მოსამართლის ოფისში, რომელმაც მიმართა კონკრეტული პირისთვის პატიმრობის შეფარდებისთვის. მოსამართლე X დაჟინებით ურჩევდა მას, პატიმრობა სასამართლოს ზედამხედველობის ქვეშ მოთავსებით ჩაენაცვლებინა. ამას მოჰყვა ცხარე განხილვა, რის შესახებაც მეორე მოსამართლემ დაუყოვნებლივ აცნობა საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარეს. მოსამართლე X-მა აღიარა მისვლა მეორე მოსამართლის ოფისში, თუმცა უარყოფდა მის საქმიანობაში ჩარევას და ამტკიცებდა, რომ ბრალდებულის დაკითხვის დროის შეცვლა სთხოვა და აღკვეთის ღონისძიების სახის შეცვლის შესაძლებლობა მხოლოდ ახსენა.

საბჭომ აღნიშნა: „საქმეში არსებული დოკუმენტებიდან, აგრეთვე სხდომაზე გამართული დავიდან და, განსაკუთრებით, მოსამართლე „დ“-ს დეტალური განცხადებიდან, რომელსაც ამაგრებს შეგროვებული ჩვენებები, ირკვევა, რომ მოსამართლე X ჩაერთა ამ მაგისტრის საქმეში, რათა ზეგავლენა მოეხდინა მის გადაწყვეტილებაზე და მისთვის სასურველი ორიენტაცია მიეცა. ეს ქცევა უნდა გაანალიზდეს როგორც მოსამართლის დამოუკიდებლობაზე თავდასხმა, რისი უზრუნველყოფის ვალდებულებაც ზუსტად მას, როგორც სასამართლოს თავმჯდომარეს, ეკისრებოდა... ინტენსიური და ავტორიტარული დამოკიდებულებით, რომელიც მან გამოიჩინა ამ მოსამართლის მიმართ, მოსამართლე X-მა აგრეთვე ჩაიდინა დელიკატურობისა და პატივისცემის მოვალეობების დარღვევის გადაცდომა“.

საბჭომ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ „დელიკატურობის მოვალეობა მოითხოვს მაგისტრისგან პატივისცემაზე დაფუძნებულ ქცევას სხვების მიმართ, მოსმენას და დამოკიდებულებას, რომელიც უნდა იყოს ყველა სიტუაციაში ტაქტიანი და გულისხმიერი, მოუთმენლობისა და მტრობის გამოვლინებების გარეშე“.

ამ ნაწილში შესაფასებელი იყო მოსამართლის ქცევა სხვა მოსამართლის მიმართ, რომელმაც მოსამართლეების შეკრებაზე სპონტანურად გამოთქვა მოსაზრება მისთვის სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებების პროექტების მომზადების დავალებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მისი დატვირთვის გათვალისწინებით, ამის კეთება

არ შეეძლო. ამ მოსამართლის ჩვენების თანახმად, მომდევნო დღეს მოსამართლე X მასთან კაბინეტში მივიდა, გაკიცხა მისი განცხადებების გამო და შეახსენა, რომ ის „უბრალო მოსამართლე“ იყო. საბჭომ ამ ნაწილში განაცხადა, რომ ამგვარ ქცევას მოსამართლე X უარყოფდა და გამოძიებამ რაიმე დამატებითი მტკიცებულება ვერ წარმოადგინა, რის შედეგადაც საჩივარი უარყოფილი იქნა.

საბჭომ იმსჯელა აგრეთვე მოსამართლის მიერ გულისხმიერების ვალდებულების დარღვევაზე სასამართლოში შექმნილ სიტუაციასთან მიმართებით. ამ სასამართლოს საკმარისად აქტიურად უწევდა მეურვეობასთან დაკავშირებული საქმეების განხილვა. როდესაც კანცელარიაში გაჩნდა ვაკანსია, მეურვეობის საკითხების ორგანიზებისათვის დაინიშნა პირი, რომელსაც არასდროს უმუშავია ამ საკითხებზე და არაკომპეტენტური იყო. სასამართლოში ჩატარებულმა აუდიტმა აჩვენა შემაშფოთებელი სიტუაცია, დიდი არეულობა კანცელარიაში, მეურვეობის საკითხებზე მიმართვებთან დაკავშირებით ვადების გაშვების ან ამის რისკის შემთხვევები, რაც არასაკმარისი ყურადღების შედეგი იყო. საბჭომ აღნიშნა, რომ ითვალისწინებდა პატარა სასამართლოების მართვის პრობლემებს, სადაც მუშაობა არაა მომხიბლავი და, შესაბამისად, სულ არსებობს შტატების შევსების პრობლემა, თუმცა ეს არ ჩაითვალა საკმარის გამართლებად: „მოსამართლე X-ის მიერ შემოთავაზებული განმარტება ვერ გამართლებს მის ზედაპირულობას სასამართლო სერვისების ორგანიზებასთან დაკავშირებით. იმავდროულად, თუნდაც კანცელარიის მუშაკის სისუსტეზე არ ვიდავოთ, ეს არ ამსუბუქებს მოსამართლის პასუხისმგებლობას, რომელსაც ეკისრებოდა უფრო ეფექტიანი გადაწყვეტების მოფიქრება, როცა ნათელი იყო, რომ კანცელარია ვერ მუშაობდა.

ამდენად, მოსამართლემ ვერ შეძლო, გულისხმიერი რეაგირება მოეხდინა სამეურვეო სამსახურში არსებულ სტაგნაციაზე, რაც ვაკანსიით იყო გამოწვეული. სასამართლოს მენეჯმენტის თვალსაზრისით მისი, როგორც თავმჯდომარის უუნარობა, მიეღო სათანადო ზომები, რათა გამკლავებოდა საგანგებო სიტუაციას და თავიდან აეცილებინა ამით გამოწვეული ვადების გაშვება, ისევე როგორც სამეურვეო სამსახურის სწორად ორგანიზებისთვის საჭირო მექანიზმების გამოუყენებლობა ... წარმოადგენს გულისხმიერების მოვალეობის დარღვევას, რომელიც ეკისრებათ სასამართლოების თავმჯდომარეებს მათ ფუნქციასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის გამო“.

დამატებით, მოსამართლეს ბრალდებოდა ლოიალურობის ვალდებულების დარღვევა სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მიმართ. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესთან პრობლემა უკავშირდებოდა იმ ინციდენტს, როდესაც მისი, როგორც აღკვეთის ღონისძიების შეფარდების უფლების მქონე ერთადერთი მოსამართლის, მოულოდნელი წასვლის გამო, ბრალდებულის გაშვება გახდა საჭირო. აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით მოსამართლემ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა სააპელაციო სასამართლოს პირველ თავმჯდომარეს და უთხრა, რომ ბრალდებული სასამართლოს ზედამხედველობის ქვეშ იქნა მოთავსებული, თუმცა

რეალურად ის გაუშვეს. მოსამართლე X-მა არასწორი კომუნიკაცია პროკურორის მიერ არასწორად მიწოდებულ ინფორმაციას დააბრალა, თუმცა პროკურორისგან მიღებული სატელეფონო მესიჯი ადასტურებდა, რომ მან იცოდა ბრალდებულის გაშვების შესახებ.

„ლოიალურობის ვალდებულება მოსამართლისგან მოითხოვს სრულ გულწრფელობას იერარქიულად ზემდგომი თანამდებობის პირების ინფორმირებისას. მოცემული სამართალწარმოების შესახებ სააპელაციო სასამართლოს პირველი თავმჯდომარისთვის გააზრებულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებით, მან ზემდგომს წაართვა შესაძლებლობა, სრულად შეეფასებინა სიტუაცია და, ამდენად, დაარღვია თავისი ლოიალურობის ვალდებულება“.

მოსამართლეს აგრეთვე ბრალდებოდა პატიოსნების და მესამე პირების მიმართ დელიკატურობის ვალდებულების დარღვევა სასამართლოს გარეთ მისი ქცევის გამო. როდესაც მისი მანქანა საბაჟო სამსახურმა შეამოწმა და იქ იარაღი აღმოაჩინა, მოსამართლემ, საბაჟო სამსახურის ოფიცრების მტკიცებით, სცადა თავის დაღწევა იმაზე მითითებით, რომ სასამართლოს თავმჯდომარე იყო, ვერ წარმოადგინა ნადირობის ლიცენზია, აგრეთვე მიაყენა ოფიცრებს შეურაცხყოფა. საბჭომ მიიჩნია, რომ ამ ნაწილში წარმოდგენილი დოკუმენტები მოსამართლის შეურაცხმყოფელ ქცევას არ ადასტურებდა და გადაცდომა დადგენილად არ ჩათვალა.

თუმცა, მრავალრიცხოვანი დარღვევის გამო, რომლებმაც სასამართლოს ფუნქციონირების მოშლა, აგრეთვე ინდივიდების უფლებებისა და თავისუფლებების შელახვა გამოიწვია, საბჭომ მოსამართლე ჩამოაქვეითა და შესაბამისი რეგიონის სასამართლოში დაკავებული თანამდებობიდანაც გაათავისუფლა.

#### მთავარი მიგნებების შეჯამება

საფრანგეთის კანონმდებლობის და მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ:

- საფრანგეთის კანონმდებლობაში, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველები გაწერილია ძალიან ზოგადი და ფართო ვალდებულებების ფორმით. ერთადერთი კონკრეტული გადაცდომა არის მოსამართლის მიერ მხარის არსებითი, პროცესუალური გარანტიის დარღვევა, რომელიც სასამართლოს ძალაში შესული განაჩენით უნდა დასტურდებოდეს.
- საბჭოს მსჯელობა გადაცდომებზე უმეტესად მიმდინარეობს მაგისტრატურის სტატუსის შესახებ ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ფარგლებში, რომელიც გამოყოფს პატივის, ღირსების, დელიკატურობის და სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებებს. კანონი პირდაპირ მოსამართლის ისეთ ძირითად ვალდებულებებსაც კი არ ახსენებს, როგორც მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის ვალდებულებაა. ორივე ამ ვალდებულებას საბჭო აგრეთვე 43-ე მუხლის პირველი პუნქტიდან კითხულობს, ისევე როგორც სხვა

უამრავ ქვევალდებულებას, როგორცაა: კონფიდენციალურობის დაცვის, პროფესიული საიდუმლოების დაცვის, კორექტულობის (duty of discretion), კეთილგონიერების, კანონის გულისხმიერად აღსრულების, პროფესიული სინდისისა და პროფესიული პასუხისმგებლობის (რომელიც კონკრეტული სამართალწარმოების ფარგლებში შეიძლება ნიშნავდეს გულისხმიერებისა და ეფექტიანობის, ისევე როგორც პროფესიული მონდომებისა და კომპეტენციის ვალდებულებებს), პატიოსნებისა და კეთილსინდისიერების ვალდებულებებს.

- სასამართლოს/მართლმსაჯულების იმიჯის შელახვა და მართლმსაჯულების სერვისების გამართული ფუნქციონირება არის ხშირად ის საბოლოო ტესტი, რომლითაც წყდება, დაირღვა თუ არა ზემოხსენებული სხვადასხვა ვალდებულება.
- მოსამართლის მოვალეობები, განსაკუთრებით, სახელმწიფოს წინაშე, ვრცელდება მოსამართლის სამსახურებრივ და პირად ცხოვრებაზე, ანუ ნაგულისხმევად აქაც მუშაობს სამსახურს გარეთ ჩადენილი გადაცდომების კონცეფცია.
- თავშეკავების ვალდებულება, უპირველეს ყოვლისა, მოსამართლისგან მოითხოვს, არ დააკნინოს თავისი კოლეგების სასამართლო გადაწყვეტილებები – მათზე დავისთვის სამართლებრივი საშუალებები არსებობს.
- ლოიალურობის ვალდებულება მოსამართლისგან მოითხოვს კოლეგებსა და საგამომიებო სამსახურებთან ლოიალური პროფესიული ურთიერთობების შენარჩუნებას სასამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას, რაც ნიშნავს თითოეულის მოვალეობებისა და უნარების პატივისცემას. დამატებით ლოიალურობის ვალდებულება მოსამართლისგან მოითხოვს სრულ გულწრფელობას იერარქიულად ზემდგომი თანამდებობის პირების ინფორმირებისას.
- დელიკატურობის ვალდებულება მოსამართლისგან მოითხოვს პატივისცემაზე დაფუძნებულ ქვევას სხვების, მათ შორის, მესამე პირების მიმართ, მოსმენას, ტაქტიან და გააზრებულ დამოკიდებულებას ყველა სიტუაციაში, მოუთმენლობისა და მტრობის გამოვლინებების გარეშე.
- მიუკერძოებლობის ვალდებულების დარღვევასთან დაკავშირებით, საბჭომ აღნიშნა: „მიუკერძოებლობის პრინციპი მოსამართლისგან მოითხოვს აცილებას ან თვითაცილებას, თუ აღმოჩნდება, რომ მას აქვს კავშირი მხარესთან, მის ადვოკატთან, ექსპერტთან ან აქვს რაიმე ინტერესი, რომელიც, სავარაუდოდ, ლეგიტიმურ ეჭვს გააჩენს მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით“.

#### 4. საქართველოში მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები

ამ კვლევაში განხილულ იქნა მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების საფუძვლებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტები, ისევე როგორც იტალიისა და საფრანგეთის შესაბამისი კანონმდებლობა და პრაქტიკა. ამ ნაწილში, ზემოთ გაკეთებული მიგნებები გამოყენებული იქნება მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების ორ აქტუალურ საკითხზე საპასუხოდ, რომელთა მნიშვნელობაც კონკრეტული გადაცდომების შინაარსის განმარტებას სცდება. ასეთია, ერთი მხრივ, გადაცდომების ჩამონათვალის ამომწურავობის საკითხი. მეორე მხრივ, კი განხილული იქნება, რა არის ის მინიმალური მნიშვნელობა, რომელიც ქმედებას უნდა ახასიათებდეს იმისთვის, რომ დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვალოს.

მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომების თვალსაზრისით, იტალია და საფრანგეთი ერთგვარად ურთიერთსაწინააღმდეგო მოდელებს გვთავაზობენ: იტალიის შემთხვევაში, მოცემულია მაქსიმალურად დეტალური გადაცდომების სია და მხოლოდ იმ შემთხვევისთვის, თუ მოსამართლის შეუფერებელი ქცევა არც ერთ გადაცდომაში არ ჯდება, არსებობს რეზიდუალური გადაცდომა, რომელიც მოსამართლის ვალდებულებების დარღვევაზე მიუთითებს. საფრანგეთის შემთხვევაში კანონმდებლობა მიუთითებს მოსამართლეთა ზოგად ვალდებულებებზე და მხოლოდ პრაქტიკაში ვხედავთ, ეს ვალდებულებები რა კონკრეტული ქცევების აკრძალვად ითარგმნება შესაბამის საქმეებში. რა თქმა უნდა, საერთაშორისო სტანდარტების კონკრეტულობისკენ სწრაფვის გათვალისწინებით, საფრანგეთი კარგი რეგულირების მაგალითი არ არის და მის შიგნითაც მიმდინარეობს განხილვა დისციპლინური სამართალწარმოების რეფორმის საჭიროებაზე. თუმცა, არსებულ მდგომარეობაში ამ განსხვავებული მოდელების შედარებიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა შეიძლება.

ერთი მხრივ, მოდელებს შორის სხვაობა კიდევ ერთხელ მიუთითებს დისციპლინურ სამართალწარმოებაში მოსამართლის მოვალეობებსა და აკრძალულ ქმედებებს შორის მჭიდრო კავშირზე. მიუხედავად იმისა, რამდენად დეტალური თუ ზოგადი იქნება გადაცდომების რეგულირება, კონკრეტულ ქცევებს გაწერს თუ მოვალეობებზე აპელირებით შემოიფარგლება, მოსამართლის მოვალეობები ყოველთვის იქნება ამოსავალი და განმარტებითი ქვაკუთხედი დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების სწორად გასაგებად.

მეორე, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ აქაც არ გვაქვს ამომწურავი დისციპლინური სამართალწარმოების საფუძვლებისა, როგორც ეს ხაზგასმული იყო კიდევ CCJE-ს №3 დასკვნაში.

ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ იტალიის, საფრანგეთისა და საქართველოს მაგალითზე ვხედავთ, რომ ერთი და იგივე ქცევები სხვადასხვა ვალდებულების/

პრინციპის ფარგლებში ხვდება. მაგ. სხვა მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა იტალიის შემთხვევაში წესიერების ვალდებულების დარღვევად კვალიფიცირდება, საქართველოს კანონმდებლობის და საფრანგეთის პრაქტიკის მიხედვით კი – დამოუკიდებლობის დარღვევას წარმოადგენს. პროცესის მონაწილეების მიმართ უპატივცემულობის გამოხატვა იტალიის შემთხვევაში წესიერების ვალდებულების ფარგლებში ექცევა, საქართველოს კანონმდებლობა გულისხმიერების ვალდებულების ქვეშ აქცევს, საფრანგეთის პრაქტიკის მიხედვით კი დელიკატურობის ვალდებულების დარღვევაა. ამდენად, ქმედებებსა და ვალდებულებებს შორის კავშირი ერთგვარად პირობითია, ერთსა და იმავე ქმედებას მარტივად შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე ვალდებულებასთან/პრინციპთან კავშირი და უნდა განიმარტოს კიდევ რამდენიმე ვალდებულების გათვალისწინებით, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საქართველოს კანონმდებლობა მას რომელიმე ერთი პრინციპის ფარგლებში აქცევს.

ეს დასკვნები მნიშვნელოვანია ქართული რეალობისთვის აქტუალურ იმ საკითხზე მსჯელობისთვის, არის თუ არა გადაცდომების ჩამონათვალი ამომწურავი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით. ზემოთ, შარლოტე ჰაბლის მიერ მომზადებული განმარტებების ნაწილში, მოცემულია მოსაზრება, რომ ჩამონათვალი ამომწურავი არ არის, რადგან „ზ“ ქვეპუნქტი კრძალავს მოსამართლის სხვა ქმედებას, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს, სასამართლოში ან მის გარეთ. დამატებით, მოსამართლე ჰაბლი მიიჩნევს, რომ 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი პრინციპის დარღვევა აგრეთვე წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას, თუნდაც ის არ ემთხვეოდეს ამ პრინციპის ქვეშ გაწერილ კონკრეტულ გადაცდომებს.

აღსანიშნავია, რომ 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი მხოლოდ სამსახურს გარეთ ჩადენილი გადაცდომებით არ შემოიფარგლება. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ამგვარი ქცევა სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულების დროსაც შეიძლება გამოვლინდეს. „ზ“ ქვეპუნქტის შინაარსის გათვალისწინებით, მისი დანიშნულების რაიმე სხვაგვარი კონცეპტუალიზაცია, გარდა იმისა, რომ ის კონკრეტულად ჩამოთვლილის გარდა სხვა ქმედებების დისციპლინურ გადაცდომად კვალიფიცირების შესაძლებლობას ქმნის, შეუძლებელია. ამ მხრივ, გასარკვევია, ხომ არ ეწინააღმდეგება ამ ნორმის ამგვარად წაკითხვა საკანონმდებლო რეფორმის სულისკვეთებას, რომ უფრო განჭვრეტადი გამხდარიყო დისციპლინური გადაცდომები და ხომ არ უკარგავს აზრს გადაცდომების დეტალურ რეგულირებას იმავე პუნქტის სხვა, წინა ქვეპუნქტებში.

ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას რამდენიმე გარემოებაა გასათვალისწინებელი. როგორც დამოუკიდებელი ინსპექტორის საქმიანობის ანგარიში, ისე გარე კვლევები<sup>51</sup>

---

<sup>51</sup> კ. წიქარიშვილი, ნ. მჭედლიძე, ე. სიჭინავა, დამოუკიდებელი ინსპექტორისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მონიტორინგი დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში:



მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ 75<sup>1</sup> მუხლში არსებული გადაცდომების ჩამონათვალი არ არის სრულყოფილი და სამართალწარმოების განმახორციელებელ ორგანოს ზოგ შემთხვევაში ძალიან თვალმისაცემი ხარვეზის<sup>52</sup> წინაშე აყენებს. ამის მაგალითია მოსამართლის მხრიდან მიკერძოების გამოვლენა რომელიმე მხარის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 „ბ“ ქვეპუნქტი დისციპლინურ გადაცდომად აცხადებას „ქმედებას, რომელიც არღვევს მიუკერძოებლობის პრინციპს“, რაც ცალსახად უნდა მოიცავდეს მოსამართლის მხრიდან მიკერძოების გამოვლენას, საკანონმდებლო ფორმულირება გრძელდება სიტყვით „კერძოდ“ და მიკერძოების პრინციპის დარღვევის სპეციფიკური შემთხვევების ჩამონათვალით, რომელთა შორისაც განსაზღვრებლად არ ჩანს მიკერძოების ძირითადი შემთხვევის აკრძალვა. ნორმის ამგვარი წყობა, ერთი მხრივ, გრამატიკულად არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მიკერძოების პრინციპი განიმარტოს მის ქვეშ მოცემული ჩამონათვალის მიღმა და მასში სხვა ქცევებიც იქნეს მოაზრებული. მეორე მხრივ, იტალიისა და საფრანგეთის მაგალითებზე მსჯელობის გათვალისწინებით, მოვალეობები/პრინციპები ძალიან ფართო განმარტების საშუალებას იძლევა და გარკვეულწილად ერთმანეთს ფარავს კიდევ. ამ გზით წასვლა განჭვრეტადობის საკითხებთან ერთად შეიძლება იმ მხრივაც იყოს არაპროდუქტიული, რომ გზას გაუსხნის დაუსრულებელ და არაფრის მომცემ დავას იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი ქმედებები რომელი პრინციპის ქვეშ უნდა იქნეს მოაზრებული.

ალტერნატიულად, მიკერძოების გამოვლენის შემთხვევა ცალსახად წარმოადგენს მოსამართლისთვის შეუფერებელ ქმედებას, რომელიც აშკარად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს. აქ ვდგებით საზოგადოებრივი წესრიგის განმარტების საჭიროების წინაშე, რომელიც ფრანგული დოქტრინის – “ordre public” თარგმანია და აღნიშნავს საზოგადოების ცხოვრების ფუნდამენტურ წესებს<sup>53</sup>. სირაკუზის პრინციპების თანახმად, საჯარო წესრიგი „განისაზღვრება, როგორც იმ წესების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ფუნქციონირებას ან იმ ფუნდამენტურ პრინციპებს, რომელსაც ეფუძნება საზოგადოება“<sup>54</sup>. ცალსახაა, რომ რომელი წესებია ფუნდამენტური, ეს თავისთავად განმარტებას მოითხოვს და, საბოლოო ჯამში, სასამართლოების ან მსგავსი იურისდიქციის ორგანოების (მაგ. მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის) საქმე იქნება ამ მხრივ პრაქტიკის

---

ანგარიში და რეკომენდაციები, 2.1.3. დისციპლინური გადაცდომების არასრული ჩამონათვალი, გვ. 10-11.

<sup>52</sup> არსებული მდგომარეობა ხარვეზად იმ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ თუ ეს ქცევები „ზ“ ქვეპუნქტში არ იქნება მოქცეული და რეგულირებული.

<sup>53</sup> M. Nowak, T. Vospernik. Permissible Restrictions on Freedom of Religion or Belief, in FACILITATING FREEDOM OF RELIGION OR BELIEF: A DESKBOOK (T. Lindholm et al, eds.), 2004, გვ. 152.

<sup>54</sup> Siracusa Principles on the Limitation and Derogation Provisions in the International Covenant on Civil and Political Rights, I.22, 1985.

განვითარება, რასაც სხვადასხვა კონტექსტში სასამართლოები აკეთებენ კიდეც<sup>55</sup>. თუმცა, ჩვენს კონკრეტულ მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, ნათელი ხდება, რომ საჯარო წესრიგის ტესტი არცთუ რთული და ბუნდოვანია. ძნელად წარმოსადგენია იმაზე დავა, მოსამართლის მიუკერძოებლობა, როგორც საზოგადოებაში ამ როლის და ფუნქციის განმსაზღვრელი და კონსტიტუციური მახასიათებელი, არის თუ არა საზოგადოების ფუნქციონირებისთვის ფუნდამენტური წესი და ამ მხრივ საჯარო წესრიგის ნაწილი. თუ ეს არაა სადავო და ნათელია, მაშინ ცალსახაა, რომ მოსამართლის მხრიდან პროცესის რომელიმე მხარის მიმართ მიკერძოების გამოვლენა არის მოსამართლისთვის შეუფერებელი ქცევა, რომელიც აგრეთვე ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს და, ამდენად, აკმაყოფილებს „ზ“ ქვეპუნქტის სამი პირობიდან ორს. რაც შეეხება სასამართლო ავტორიტეტის შელახვას, მიკერძოების დადასტურების შემთხვევაში, არც ის უნდა იყოს სადავო, რომ მიკერძოება ლახავს სასამართლოს ავტორიტეტს და მისდამი ნდობას.

როგორც დამოუკიდებელი ინსპექტორის საქმიანობის ანგარიშიდან იკვეთება, პირდაპირი საკანონმდებლო მითითების არარსებობის პირობებში მიკერძოების შემთხვევები, ისევე როგორც ინტერესთა კონფლიქტი და მოსამართლის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ამჟამად ექცევა მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტში „მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით“ და ყველა ამგვარ შემთხვევას აკვალიფიცირებენ მოსამართლის მიერ უფლებამოსილების „პირადი ინტერესით“ განხორციელებად<sup>56</sup>, მაშინაც კი, როდესაც ცნობილი არაა და შეუძლებელია იმის დადგენა, რა იყო კონკრეტულად ეს პირადი ინტერესი. ანუ, პრაქტიკულად, თუ დადგინდა მიკერძოების შემთხვევა, „პირადი ინტერესი“ იგულისხმება. ამგვარი განმარტება ნორმის ამ ელემენტს შინაარსს უკარგავს. წესით, „პირადი ინტერესი“ ბრალდების მხრიდან მტკიცების საგანი უნდა იყოს და მოსამართლემ უნდა იცოდეს, რა ინტერესით მოქმედებაში სდებენ ბრალს. ეს ნორმის არსებითი ელემენტია.

როგორც იტალიის პრაქტიკის განხილვისას აღინიშნა, პირადი ინტერესის გამო აცილების მოთხოვნის დასაყენებლად საჭიროა, რომ ჩანდეს, რა არის ამგვარი პირადი ინტერესი. არსებულ პრაქტიკაში, ნორმის ეს ნაწილი არ ფუნქციონირებს. გასაგებია, რომ ნორმის განმმარტებელი არაორდინარულ სიტუაციაშია ჩაყენებული მიკერძოების არასრულფასოვანი რეგულირების გამო, თუმცა ეს არ უნდა იყოს კარგი

---

<sup>55</sup> არბიტრაჟთან დაკავშირებით „საჯარო წესრიგის“ კონცეფციის განვითარებისთვის იხ. ს. ტყემალაძე, „საჯარო წესრიგი“ როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თუ მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი (ქართული პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა), ქართული ბიზნესსამართლის მოკლე მიმოხილვა, II გამოცემა, 2013, გვ. 14-29.

<sup>56</sup> დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური, 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 29: „შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი, მოსამართლის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება თუ ობიექტური დამკვირვებლის თვალში შესაძლო მიუკერძოებლობა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ სწორედ პირადი ინტერესის საფუძველით განიხილება“.

გამოსავალი არც კანონის განმარტების ტექნიკის და არც განჭვრეტადობის თვალსაზრისით.

განმარტებითი ტექსტის ამგვარ მოდიფიცირებაზე უკეთესი გამოსავალი, განჭვრეტადობის თვალსაზრისითაც კი, იქნებოდა მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ისეთი ცალსახა შემთხვევების, როგორცაა რომელიმე მხარის მიმართ მიკერძოების გამოვლენა ან მხარეთა შეჯიბრებითობის დარღვევა, მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტში მოქცევა. რა თქმა უნდა, „ზ“ ქვეპუნქტის ამგვარი ამოქმედება თავის მხრივ წარმოშობს გამოწვევებს, კერძოდ, ფართო განმარტებისა და მოსამართლეების მიმართ ბოროტად გამოყენების რისკებს, თუმცა სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან ორი რამ არის გასათვალისწინებელი: მაღალი ალბათობით ვერ მოხერხდება მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომების ამომწურავად გაწერა და მაღალი ალბათობით ვერ მოხერხდება ამ სამართლებრივი დებულებების სრულად დაცლა ისეთი შეფასებითი კატეგორიებისგან, როგორცაა, მაგალითად, „მოსამართლის სტატუსისთვის შეუფერებელი ქცევა“. ამის გათვალისწინებით, ახალი საჭიროებების იდენტიფიცირებისას, გამუდმებით საკანონმდებლო ცვლილებების მოლოდინს ან არსებული ნორმების იმგვარ განმარტებას, რომელიც ტექსტსა და მიზანთან მთლად შეთავსებადი არ არის, შეიძლება გრძელვადიანად სჯობდეს „ზ“ ქვეპუნქტის ფარგლებში „საჯარო წესრიგის“ ტექსტის განვითარება და მოსამართლის კონსტიტუციურ როლსა და მახასიათებლებთან ფუნდამენტურად შეუთავსებელი ქცევების ამ ქვეპუნქტის ფარგლებში მოაზრება.

მეორე საკითხი, რაც გარკვეულწილად უკავშირდება „ზ“ ქვეპუნქტს და, განსაკუთრებით, სასამართლოს ავტორიტეტისა და მისდამი ნდობის ელემენტს, არის დისციპლინური გადაცდომებით გამოწვეული ზიანის საკითხი. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, „დისციპლინურ გადაცდომად არ ჩაითვლება ისეთი ქმედება, რომელიც ფორმალურად შეიცავს ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, თუმცა მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდოდა მისი ჩადენისთვის დისციპლინურ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე“. აღნიშნული ნორმა, იტალიის ზემოთ განხილული კანონმდებლობის მსგავსად, ადგენს გადაცდომის „ზღვრული“ სერიოზულობის/მნიშვნელობის მოთხოვნას, იმისათვის რომ ქმედება ჩაითვალოს გადაცდომად, თუნდაც ყველა ელემენტი იყოს სახეზე. რამდენადაც მცირე მნიშვნელობას გადამწყვეტი ეფექტის მოხდენა შეუძლია დისციპლინურ პასუხისმგებლობაზე, მნიშვნელოვანია მიდგომის ჩამოყალიბება, როგორ იზომება მნიშვნელობა და ზიანი/ზიანის საფრთხე, რომელიც გამოიწვია/უნდა გამოეწვია გადაცდომას.

იტალიის პრაქტიკის მაგალითზე მნიშვნელობის განსაზღვრის ტესტი მრავალკომპონენტანია და მოიცავს როგორც კონკრეტული მხარის უფლებებისთვის მიყენებულ ზიანს, ისე შესაბამისი პირის რეაქციას მოსამართლის ქცევაზე,

გამოხმაურებას უფრო ფართო საზოგადოების მხრიდან (მაგ. პრესაში), დროის გასვლას შესაბამისი მომენტიდან, ამგვარი ქცევის სისტემატურობასა და მიზეზებს, მოსამართლის ზოგად რეპუტაციას და, რაც მთავარია, სასამართლოს რეპუტაციისთვის მიყენებულ ზიანს. იტალიის მაგალითი კარგია იმის დემონსტრირებისთვის, რომ ამ ნაწილში მარტო სამართალწარმოების მხარეებისთვის მიყენებული ზიანი არ შეიძლება იგულისხმებოდეს და მხოლოდ ამ ერთი კომპონენტით არ შეიძლება წყდებოდეს ზიანის და, შესაბამისად, გადაცდომის არსებობის ან არარსებობის საკითხი.

ამ მიდგომის სიმცდარეს ადასტურებს ისიც, რომ მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომები, მათ შორის საქართველოშიც, მოიცავს როგორც სასამართლოში, ისე მის გარეთ ქმედებებს და გადაცდომების ამ მეორე ჯგუფის შემთხვევაში საერთოდ არარელევანტური ხდება მხარისთვის მიყენებული ზიანის საკითხი. მაგ. თუ მოსამართლე ატარებს ცეცხლსასროლ იარაღს შესაბამისი სანებართვო პირობების დარღვევით ან თუ შეიძენს აკრძალულ ნივთიერებას, ეს შეიძლება განხილული იქნეს როგორც მოსამართლის შეუფერებელი ქცევა, რომელიც საფრთხეს უქმნის სასამართლოს რეპუტაციას, მაგრამ კონკრეტული უფლებამატარებელი პირის პოვნა შეუძლებელი იქნება მოსამართლის ქცევით გამოწვეული ზიანის გასაზომად.

თუნდაც, მოსამართლის ქცევას სასამართლოს გარეთ ჰყავდეს კონკრეტული მსხვერპლი, მაგ. ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, დაზარალებული ოჯახის წევრი, ცალსახაა, რომ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის ფუნქცია მათთვის მიყენებული ზიანის პრევენცია ან კომპენსირება არ არის და ამ ტიპის ზიანი არც იმის გადასაწყვეტად უნდა იყოს *per se* ამოსავალი, აკმაყოფილებს თუ არა გადაცდომა ზღვრული სიმძიმის/სერიოზულობის მოთხოვნას.

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა არ წარმოადგენს აპელაციის ალტერნატივას<sup>57</sup> (რომელიც არის უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალება). მისი საბოლოო მიზანი საზოგადოებაში სასამართლოს მიმართ ნდობის შენარჩუნებაა: „სამართლის სისტემას შეუძლია ფუნქციონირება მანამ, სანამ საზოგადოება იღებს და ემორჩილება სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს; საზოგადოება მიიღებს და დაემორჩილება ამ გადაწყვეტილებებს მხოლოდ მაშინ, თუ ის დარწმუნებულია რომ მოსამართლეები სამართლიანები და მიუკერძოებლები არიან...“<sup>58</sup>

შესაბამისად, 75<sup>1</sup> მუხლის მე-7 პუნქტის მიზნებისთვის ქმედების მნიშვნელობის განსაზღვრისას და ზიანის/ზიანის საფრთხის შეფასებისას, ცენტრალური კითხვაა, მიაყენა თუ არა მოსამართლის არჩევანმა/ქცევამ სასამართლოს რეპუტაციას და სასამართლოსადმი ნდობას ზიანი. ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას, აუცილებლად

<sup>57</sup> B. F. Overton, Grounds for Judicial Discipline in the Context of Judicial Disciplinary Commissions, 54 Chi.-Kent L. Rev. 59 (1977).

<sup>58</sup> R. J. Martineau, Disciplining Judges for Nonofficial Conduct: A Survey and Critique of the Law, 10 U. Balt. L. Rev. 225(1981).

უნდა იქნეს გათვალისწინებული კონკრეტული მხარისთვის ან პირისთვის მიყენებული ზიანი და მისი შეუქცევადობაც, თუმცა მხოლოდ ამ ტიპის ზიანზე დაფუძნებული ტესტი 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ყველა გადაცდომის ფარგლებში ვერ იქნება გამოყენებადი და ამდენად, უვარგისია. საჭიროა მოსამართლეთა გადაცდომებისთვის უნივერსალური დოქტრინის განვითარება, რა არის მინიმალური, ზღვრული მნიშვნელობა იმისთვის, რომ მან დისციპლინური წარმოების საჭიროება შექმნას.

შეჯამებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ განხილული საერთაშორისო სტანდარტები და, განსაკუთრებით, იტალიისა და საფრანგეთის შესაბამისი სამართალი, გარდა თავად ცალკეული გადაცდომების შინაარსისა და ელემენტებისა, შეგვიძლია მოვიხმოთ ორ უფრო ზოგად კითხვაზე საპასუხოდ: როგორ უნდა გადაწყდეს გადაცდომების ჩამონათვალში არსებული ხარვეზების საკითხი და როგორ უნდა განიმარტოს დათქმა გადაცდომის მინიმალური მნიშვნელობის შესახებ. ჩამონათვალის ამომწურაობასთან დაკავშირებით, შემოთავაზებული მიდგომაა, რომ მკაცრი ტესტების განვითარების პირობებში მოხდეს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის ოპერაციონალიზაცია და მოსამართლისთვის შეუფერებელი და მართლწესრიგის ძირეულ პრინციპებთან შეუთავსებელი ქცევები ამ ნორმის ფარგლებში მოექცეს. რაც შეეხება ქმედების მინიმალურ მნიშვნელობას, ამ ნაწილშიც მნიშვნელოვანია უფრო სრულყოფილი ტესტის განვითარება, რათა მნიშვნელობა არ შეფასდეს მხოლოდ ამა თუ იმ მხარისთვის მიყენებული ზიანის ან მისი საფრთხის მიხედვით და უპირველეს ყოვლისა შეფასდეს, რამდენად საზიანო იყო პირის ქცევა სასამართლოს რეპუტაციისა და მის მიმართ ნდობისთვის, რისი უზრუნველყოფაც დისციპლინური სამართალწარმოების უმთავრესი მიზანია.

## დასკვნა

ამ დოკუმენტში მოცემულია მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების განმარტების პრაქტიკული სახელმძღვანელო და კვლევა იტალიისა და საფრანგეთის კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესახებ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებთან დაკავშირებით. აქ განხილული ქვეყნების შედარებითსამართლებრივი კვლევა აჩვენებს, რომ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები ნაწილობრივ მეორდება, ნაწილობრივ კი განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული გამოცდილება საშუალებას იძლევა უფრო ინფორმირებული მსჯელობისთვის ქართულ კონტექსტში მნიშვნელოვნ ორ საკითხზე: უნდა განვიხილოთ თუ არა გადაცდომების სია ამომწურავად და როდის არის ქმედება საკმარისად მნიშვნელოვანი იმისთვის, რომ გადაცდომად ჩათვალოს. ამასთან, პრაქტიკულ სახელმძღვანელოში განხილული მაგალითები, აგრეთვე იტალიისა და საფრანგეთის მაგისტრატურის საბჭოების მიერ ცალკეული გადაცდომების

შემადგენლობებზე მსჯელობა და ელემენტების განხილვა დაეხმარება საქართველოს დისციპლინური წარმოების ორგანოებს საკუთარი პრაქტიკის განვითარებაში შედარებით ახალ საკანონმდებლო რეგულირებასთან დაკავშირებით, რომლის მიზანიც უფრო განჭვრეტადი და უფრო ეფექტიანი დისციპლინური სამართალწარმოების სისტემის დამკვიდრებაა.